CIAN MAGENTA YALLOW BLACK

# ალია

რეკლამა „ალიაში“:
5 77 444 442

N166/3096/ 12 ნოემბერი 2014 წ ფასი 1 ლარი

ორშაბათი ქრონიკა სამშაბათი ალია ოთხშაბათი ალია ხუთშაბათი ალია პარასკევი ალია

„ძალაუფლება რყვნის, აბსოლუტური ძალაუფლება რყვნის აბსოლუტურად!!!“
ლორდი ექტონი 1877 წელი

გამოდის 1995 წლიდან
WWW.ALIA.GE



## ლაშა ამირეჯიბი:

„თავიდან ბოლომდე მოგიყვებით, ვინ სად რას აკეთებს და როგორ აყაჩაღებს ბიზნესს. ეს ადამიანები არიან ამოფარებულები ირაკლი ღარიბაშვილს... ეს ადამიანები არიან ხელისუფლების მაღალჩინოსნები“

## 8 მიზეზი, რის გამოც „თავისუფალი საქართველო“ ღარიბაშვილის გადაყენების კამპანიას იწყებს

რას პასუხობენ პარტიები „თავისუფალ საქართველოს“ ინიციატივაზე?

## გია ხუხაშვილი:



„თუ საზოგადოებამ ხელისუფლების მხრიდან მსხვერპლის გაღება მოითხოვა, ვინ შეიძლება იყოს ეს მსხვერპლი? ეს შეიძლება იყოს სამი შტო“

## რეზო ამაშუკელი:



„ან პროკურატურა დადებს მაგიდაზე ამ „დემოკრატების“... ვინ არიან, ყველანი რომ მაგრად კუნტრუშობდნენ თავის დროზე, თუ არადა, ამ პროკურატურას მოეკითხება ყველაფერი“

## სინამდვილეში რამდენ ადამიანს აგროვებენ „ნაციონალები“ 15 ნოემბრის აქციისთვის

## ლადო სადღობელაშვილი:

„მე მაქვს ინფორმაცია, რომ 15-16-ის შემდეგ „ნაციონალები“ გამოაცხადებენ შიმშილობას“

## რა სიტყვების გამო ატყდა თბილისის საკრებულოში ჩხუბი?



## ყველაზე დიდი პრემია იმერეთის გუბერნატორის ადმინისტრაციამ გასცა



ორგანიზაცია **IDFI** 2013 წელს გუბერნატორების ადმინისტრაციების მიერ გაწეული სხვადასხვა სახის ფინანსური ხარჯების შესახებ ინფორმაციას აქვეყნებს.

„იმერეთის გუბერნატორის ადმინისტრაციის მიერ მოწოდებული დოკუმენტაციის მიხედვით, ადმინისტრაციაში 2013 წელს პრემიის სახით სულ გაცემულია 111 009 ლარი, აქედან გუბერნატორსა და მის ოთხ მოადგილეზე 25 215 ლარი, ადმინისტრაციის თანამშრომლებზე 85 794 ლარი, მათ შორის შტატგარეშე თანამშრომლებს დაერიცხათ, ჯამში, 5 300 ლარი.

წარმომადგენლობითმა ხარჯმა შეადგინა 8 206,69 ლარი, საიდანაც ყველაზე დიდი თანხა 3 448,75 ლარი დაიხარჯა სხვადასხვა სახის საკვები პროდუქტების შესაძენად.

გურიის გუბერნატორის ადმინისტრაციაში 2013 წელს გაიცა 69 370 ლარი პრემია, მათ შორის გუბერნატორსა და მის მოადგილეებზე 10 200 ლარი, ხოლო თანამშრომლებზე სულ 59 170 ლარი.

სამეგრელო-ზემო სვანეთში სახელმწიფო რწმუნებულის-გუბერნატორის ადმინისტრაციის მიერ 2013 წელს პრემიის სახით გაიცა 103 945 ლარი. აღნიშნული თანხიდან გუბერნატორსა და მის მოადგილეებზე – 14 810 ლარი, ხოლო ადმინისტრაციის სხვა თანამშრომლებზე – 89 135 ლარი.

რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის გუბერნატორის ადმინისტრაციიდან მიღებული ინფორმაციის თანახმად, 2013 წელს გაცემული პრემიის ოდენობა ჯამში შეადგენს 51 448.95 ლარს, მათ შორის გუბერნატორსა და მის სამ მოადგილეზე გაიცა 13 488.75 ლარი, საიდანაც სახელმწიფო რწმუნებულმა მიიღო 4 056, ხოლო ადმინისტრაციის სხვა თანამშრომლებმა – 37 960.2 ლარი.

კახეთის გუბერნატორის ადმინისტრაციაში გაიცა 38 432 ლარი პრემია, საიდანაც გუბერნატორსა და მის მოადგილეებს გადაეცათ 10 182 ლარი, ხოლო თანამშრომლებს, 28 250 ლარი. 36 445 ლარი შეადგინა ადმინისტრაციის მიერ გაცემულმა სახელფასო დანამატმა, აქედან 28 700 ლარი გაცემული იყო გუბერნატორსა და მის მოადგილეებზე, ხოლო 7 745 ადმინისტრაციის თანამშრომლებზე. აღსანიშნავია, რომ ყველაზე დიდი თანხა 26 200 ლარი, სახელფასო დანამატის სახით გაიცა ზურაბ ჭიაბერაშვილის სახელზე.

მცხეთა-მთიანეთში სახელმწიფო რწმუნებულის-გუბერნატორის ადმინისტრაციაში, 2013 წელს გუბერნატორსა და მის მოადგილეებზე გაიცა 8 333 ლარი პრემია. ხოლო თანამშრომლებზე – 46 637 ლარი. სულ ჯამში გაცემული იქნა 54 970 ლარი პრემია. გუბერნატორის ადმინისტრაციაში სახელფასო დანამატების გაცემას ადგილი არ ჰქონია.

ქვემო ქართლის გუბერნატორის ადმინისტრაციაში 2013 წელს გაცემულია 95 550 ლარი პრემიის სახით, საიდანაც გუბერნატორსა და მის მოადგილეებს დაერიცხათ 20 700 ლარი, ხოლო თანამშრომლებს – 74 850 ლარი.

რაც შეეხება, შიდა ქართლის გუბერნატორის ადმინისტრაციას, აქ პრემიის სახით გაიცა 61 884 ლარი, გუბერნატორსა და მის მოადგილეებზე – 42 180 ლარი, ხოლო ადმინისტრაციის სხვა თანამშრომლებზე – 19 704 ლარი.

2013 წელს ადმინისტრაციის მიერ გაწეულმა წარმომადგენლობითმა ხარჯმა შეადგინა 46 341.78 ლარი. მათ შორის ყველაზე დიდი თანხა 45 793 ლარი დაიხარჯა 23 ივნისს გორში ქართლის ღვინის ფესტივალის ორგანიზებისთვის“, – ნათქვამია ორგანიზაციის ინფორმაციაში. (ნიუპოსტი)

## კამათი „ქართული ოცნების“ სხდომაზე



ფრაქცია „ქართული ოცნების“ სხდომა, რომელზეც კოალიციის წევრებს მომავალი სასესიო კვირის დღის წესრიგი უნდა შეეთანხმებინათ, ივანე კილურაძემ პროტესტის ნიშნად დატოვა.

განათლებისა და მეცნიერების კომიტეტის თავმჯდომარის პროტესტი განათლების კანონში შესატან ცვლილებებს მოჰყვა, რომლის დეტალებზეც უმრავლესობის წევრები არ საუბრობენ.

კილურაძემ მოითხოვა კანონში შესულიყო მუხლი, რომლის თანახმადაც უნივერსიტეტებს მათ მიერ მიღებული შემოსავალი დამსახურებული პროფესორ-მასწავლებლებისთვის უნდა გადაერიცხათ. აღნიშნულ მოთხოვნას უმრავლესობის წევრები არ ეთანხმებიან. თავად კილურაძემ ამ თემაზე კომენტარი არ გააკეთა.

მანამდე ფრაქცია „ქართული ოცნების“ წევრები მიმდინარე პოლიტიკურ თემებზე პრემიერთან ერთად მსჯელობდნენ. ერთ-ერთი მთავარი განსახილველი თემა „თავისუფალი დემოკრატების“ წევრების საპარლამენტო თანამდებობაზე დარჩენის საკითხი იყო. (ნიუპოსტი)

## შინაგან საქმეთა სამინისტრო განცხადებას ავრცელებს



შინაგან საქმეთა სამინისტრო უწყების სახელით გავრცელებულ ინფორმაციასთან დაკავშირებით განცხადებას ავრცელებს.

„შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელით ინტერნეტ-სივრცეში ვრცელდება ცრუ ინფორმაცია, რომ შსს-ს მიერ აღმოჩენილია მომხმარებლის მიერ პედოფილიის, ძალადობისა და გეიპორნოს ელემენტების შემცველი მასალების დათვალიერებასა და კოპირებასთან დაკავშირებული დარღვევები. იმავე შეტყობინებაში საუბარია, თითქოს მომხმარებლის კომპიუტერი დაიბლოკა უსაფრთხოების მიზნით, საქართველოს რესპუბლიკის კანონის დარღვევის გამო, პორნოგრაფიული შინაარსის მასალების დათვალიერების დროს. 12 საათის განმავლობაში სისხლის სამართლის საქმე გადაეცემა სასამართლოს. ამავე ვებ-გვერდზე ვრცელდება მოთხოვნა 12 საათის განმავლობაში 87-ლარიანი ჯარიმის გადახდის შესახებ.

გაცნობებთ, რომ აღნიშნული ქმედება არ ხორციელდება შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ და სიმართლეს არ შეესაბამება. მოქალაქეებს მოვუწოდებთ, კომპიუტერში მსგავსი სახის შეტყობინების გამოჩენისთანავე აცნობონ სამართალდამცველებს და განცხადებით მიმართონ სამინისტროს ან პოლიციას საცხოვრებელი მისამართის მიხედვით. აღნიშნულთან დაკავშირებით გამოძიება კომპიუტერულ სისტემაში შეღწევის ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ის 284-ე მუხლით). გამოძიებას შსს-ს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის სამმართველოს კიბერდანაშაულთან ბრძოლის სამმართველო აწარმოებს“, – ნათქვამია განცხადებაში. (ნიუპოსტი)






## ზაჰესში 75 წლის მამაკაცს ყელი გამოჭრეს

ზაჰესში 75 წლის მამაკაცს ყელი გამოჭრეს. შემთხვევა გვიან ღამით მოხდა. გარდაცვლილი მამაკაცი მისმა მეგობრებმა და ოჯახის წევრებმა იპოვეს.

შსს-ს ინფორმაციით, მკვლელობაში ეჭვმიტანილი პირი დაკავებულია. მომხდართან დაკავშირებით გამოძიება 108-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც განზრახ მკვლელობას გულისხმობს. (ნიუპოსტი)

## დედაქალაქის მერია მოქალაქეთა გარკვეულ ჯგუფს აფრთხილებს




მერიის განცხადებით, მოქალაქეთა გარკვეული ჯგუფი თბილისში არსებული შენობა-ნაგებობების მოხატვასა და წარწერების გაკეთებას უნებართვოდ აპირებს, რაც კანონის მიხედვით დასჯადი ქმედებაა. „თბილისის მერიის ცხელ ხაზზე შემოვიდა ინფორმაცია, რომ მოქალაქეთა გარკვეული ჯგუფი თბილისში არსებული შენობა-ნაგებობების მოხატვასა და წარწერების გაკეთებას უნებართვოდ აპირებს.

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 150-ე მუხლის მიხედვით, თვითმმართველი ერთეულის იერსახის დამახინჯება, რაც გამოიხატება შენობათა ფასადებსა და კედლებზე პლაკატების, წარწერების, ნახატებისა და ა.შ. თვითნებურ განთავსებაში, 50 ლარით ჯარიმდება. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმს ადგენს თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახური და განსახილველად უგზავნის სასამართლოს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მივმართავთ მოქალაქეებს, დაემორჩილონ კანონის მოთხოვნას და არ დაამახინჯონ დედაქალაქში არსებული შენობების იერსახე. წინააღმდეგ შემთხვევაში, თბილისის მერია იძულებული იქნება, გამოიყენოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით მინიჭებული უფლება და ნებისმიერი მოქალაქე, ვინც კანონს დაარღვევს, დაჯარიმდება“, – ნათქვამია განცხადებაში. (ინტერპრესნიუსი)

## მოწმე პოლიციას ზეწოლაში ადანაშაულებს



ვასილ ლომსაძის საქმის ერთ-ერთი მოწმე ამირან ძებისაშვილი, რომელზეც, საიას თავმჯდომარის კახა კოჟორიძის განცხადებით, პოლიციელის წინააღმდეგ მიცემული ჩვენების გამო ზეწოლა განხორციელდა, მომხდარის შესახებ პირადად ჰყვება.

მისი თქმით, მას შემდეგ, რაც სასამართლოში ჩვენება მისცა, პოლიციამ ის ძალის გამოყენებით, ახსნა-განმარტებების გარეშე დააკავა.

„სასამართლოდან გამოსვლის შემდეგ, კიბეებზე, მანქანაში ჩაჯდომაც ვერ მოვასწარი, უცებ დამიჭირეს, გადამიყენეს მანქანა, ხელები ამიგრიხეს და ძალით მსვამდნენ მანქანაში, მე ვეწინააღმდეგებოდი და ვთხოვდი, აეხსნათ, რის საფუძველზე მიჭერდნენ ან რა უფლება ჰქონდათ საერთოდ ჩემი დაჭერის“, – განაცხადა ძებისაშვილმა.

საუბარია ვასილ ლომსაძის წინააღმდეგ აღძრულ სისხლის სამართლის საქმეზე. საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ინფორმაციით, ვასილ ლომსაძე შსს-ს რუსთავის საქალაქო სამმართველოს უფროსის მოადგილემ ზაალ ადამიამ და პოლიციის სხვა თანამშრომლებმა სცემეს. მათივე ინფორმაციით, მიუხედავად იმისა, რომ ვასილ ლომსაძე მიუთითებდა პოლიციელთა მხრიდან მის მიმართ ჩადენილ დანაშაულზე, პროკურატურამ ობიექტური გამოძიების ჩატარებისა და სავარაუდო დამნაშავე პოლიციელთა გამოვლენის ნაცვლად, ვასილ ლომსაძეს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 353-ე მუხლის პირველი ნაწილით (პოლიციელზე თავდასხმა) წაუყენა ბრალი. (news.ge)

## შსს-მ უკანონო იარაღი და ვაზნები ამოიღო



სამართალდამცავებმა იარაღის უკანონო შეძენა-შენახვის ბრალდებით ერთი პირი დააკავეს. სამინისტროს პრესსამსახურის ინფორმაციით, შსს-ს სამცხე-ჯავახეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვის ბრალდებით ქალაქ ახალციხეში მცხოვრები, 1943 წელს დაბადებული ალი დ. დააკავეს.

უწყების ინფორმაციით, სამართალდამცველებმა ასპინძის რაიონში, საზაფხულო საძოვრებზე, ე.წ. ზედა რაყისის ტერიტორიაზე, ალი დ-ს საზაფხულო ბინის ჩხრეკისას „ა-კა-ემ“-ის მოდელის ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი, 4 მჭიდი და 98 საბრძოლო ვაზნა ამოიღეს.

დაკავებული აღიარებს ჩადენილ დანაშაულს. გამოძიება ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვის ფაქტზე მიმდინარეობს. (ინტერპრესნიუსი)



## „ტერექსი XXI“-ის დირექტორი დააკავეს

ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურმა, სახელმწიფოს კუთვნილი, განსაკუთრებით დიდი ოდენობით თანხის მითვისების ბრალდებით, შპს „ტერექსი XXI“-ის დირექტორი და დამფუძნებელი გიორგი ჯინჭარაძე დააკავა. გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულს, ტენდერის პირობის თანახმად, 2013 წელს ვანის, ბაღდათისა და ტყიბულის მუნიციპალიტეტებში გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები უნდა განეხორციელებინა, თუმცა მან არ შეასრულა ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები და სახელმწიფოს კუთვნილი, განსაკუთრებით დიდი ოდენობის თანხა, 517 000 ლარი მიითვისა. აღნიშნულ ფაქტზე გამოძიება გრძელდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 182-ე მუხლის მეორე ნაწილით, რაც ითვალისწინებს 7-დან 11 წლამდე თავისუფლების აღკვეთას. (პირველი რადიო)

# გია ხუხაშვილი: „თუ საზოგადოებამ ხელისუფლების მხრიდან მსხვერპლის გაღება მოითხოვა, ვინ შეიძლება იყოს ეს მსხვერპლი? ეს შეიძლება იყოს სამი შტო“

**შერიგდებიან თუ არა ივანიშვილი და მარგველაშვილი? რატომ დაუბრუნდება მწვავე გამოთქმები ღარიბაშვილს ბუმერანგივით უკან? გაექცა თუ არა მართვის კონტროლი პრემიერ-მინისტრს?**

**„ალიას“ ესაუბრება ბიძინა ივანიშვილის ყოფილი მრჩეველი, ექსპერტი გია ხუხაშვილი:**



**„ირაკლი ალასანიას საქციელი რომ ავიღოთ, საკმაოდ პარადოქსულია, ერთ დღეს აცხადებს, რომ ის არ მისულა ბიძინასთან სალაპარაკოდ, ტოვებს პოლიტსაბჭოს სხდომას, თუმცა ორ დღეში მიდის ბიძინა ივანიშვილთან საკუთარი ფეხით შეხვედრაზე, მისი ინიციატივით ხდება კომუნიკაცია ივანიშვილთან და მისი სურვილი იყო, შეხვედრა შემდგარიყო. ესეც კულისური თამაშებია, არაფორმალური ურთიერთობებით პოლიტიკის გადაწყვეტა“**

**— მაქვს ინფორმაცია, რომ თქვენი და ბიძინა ივანიშვილის გზები კვლავ გადაიკვეთა. როგორ აფასებთ მის ინტერვიუს და ალასანიას გარდა, ვისი მისამართით იყო გაკეთებული გზავნილები?**

– ჩვენი გზები პოლიტიკის კუთხით გაიყო, დღეს არც ერთი არ ვართ პოლიტიკაში. რაც შეეხება სხვა კუთხით, ჩვენი პირადი ურთიერთობებისთვის ზიანი არ მიუყენებია. ერთია პოლიტიკა, მეორეა ადამიანური ურთიერთობები. რაც შეეხება მისი მხრიდან კრიტიკას, მე ვფიქრობ, რომ ორი ტიპის პრობლემაა მასთან და ალასანიასთან ურთიერთობაში, მასა და გიორგი მარგველაშვილის ურთიერთობაში.

მიუხედავად იმისა, ბიძინა ივანიშვილს ირაკლი ალასანიას მიმართ უფრო მეტი გაბრაზების მიზეზი უნდა ჰქონდეს, აშკარაა, რომ ის ვერ ინელებს გიორგი მარგველაშვილს და უფრო რბილია ალასანიასთან მიმართებაში. მე ფიქრობ, რომ პრეზიდენტისა და ბიძინა ივანიშვილის ურთიერთობები უფრო სუბიექტური ხასიათისაა, ამ ყველაფერს მე მაინც ნაკლებად განვიხილავდი პოლიტიკურ ჭრილში, იმ არგუმენტებს, რაც ბიძინა ივანიშვილს აქვს პრეზიდენტთან მიმართებაში, არ შევაფასებ, რამდენად სწორია, ან არასწორი, თუმცა ეს არგუმენტები არ ეხება პოლიტიკის ფუნდამენტურ საკითხებს, რადგან მათ შორის არასოდეს ყოფილა კრიტიკა მარგველაშვილის პოლიტიკურ შეხედულებებთან დაკავშირებით. უთანხმოება ეხებოდა უფრო ატრიბუტიკას, პრეზიდენტის სასახლეში გადასვლას, საკადრო საკითხებს, ობიექტური პრობლემა მათ შორის არ არის, რაც ტოვებს იმის იმედს, რომ, ადრე თუ გვიან, მათ შორის ურთიერთობის პრობლემა ადვილად გადაილახება. როდესაც წინ სახელმწიფოებრივი ამოცანებია გადასაწყვეტი, ყველა ვალდებულნი ვართ, სუბიექტური შეხედულებები გადაილახოს და ვალდებულნი ვართ, სახელმწიფოებრივი ამოცანები შევასრულოთ. თუმცა ბიძინა ივანიშვილი არ არის დღეს პოლიტიკაში და მას სრული უფლება აქვს, თუნდაც სუბიექტური მიზეზებით აკრიტიკოს პრეზიდენტი.

**— ბიძინა ივანიშვილის გულისწყრომა პრეზიდენტის შეფასებამ განაპირობა, როცა ალასანიას გადაყენების განცხადების შემდეგ ავსტრიიდან პრეზიდენტმა განაცხადა, რომ ქვეყანა კულისებიდან იმართება. ეს იყო თუ არა მარგველაშვილის დიდი შეცდომა?**

– სხვათა შორის, პრეზიდენტმა კარგად განმარტა, რომ ის არ გულისხმობდა პერსონალურად ბიძინა ივანიშვილს, საუბარი იყო მმართველობის სტილზე, სამწუხაროდ, კულისური გადაწყვეტილებები ამ ქვეყანაში ჯერ კიდევ არის, თუნდაც ბოლო მოვლენები ამის დადასტურებაა. აი, თუნდაც ირაკლი ალასანიას საქციელი რომ ავიღოთ, საკმაოდ პარადოქსულია, ერთ დღეს აცხადებს, რომ ის არ მისულა ბიძინასთან სალაპარაკოდ, ტოვებს პოლიტსაბჭოს სხდომას, თუმცა ორ დღეში ის მიდის ბიძინა ივანიშვილთან საკუთარი ფეხით შეხვედრაზე, მისი ინიციატივით ხდება კომუნიკაცია ივანიშვილთან და მისი სურვილი იყო, შეხვედრა შემდგარიყო. ესეც კულისური თამაშებია, არაფორმალური ურთიერთობებით პოლიტიკის გადაწყვეტა. ასე რომ, მთლიანად ამ სენით არის ქართული პოლიტიკა დაავადებული და ეს არ ეხება მხოლოდ კონკრეტულ პიროვნებას.



**„მე ვფიქრობ, პრემიერ-მინისტრმა მიიღო ერთადერთი სწორი გადაწყვეტილება, როდესაც ალასანია გაათავისუფლა დაკავებული თანამდებობიდან“**

**— ჩემი ინფორმაციით, რამდენიმე კვირა ინტენსიური მუშაობა მიდიოდა, პრეზიდენტ მარგველაშვილსა და ბიძინა ივანიშვილს შორის ურთიერთობები რომ დარეგულირებულიყო. თუმცა ამ განცხადების შემდეგ, ივანიშვილი კიდევ ერთხელ დაარწმუნეს, რომ, თუკი მარგველაშვილს შეურიგდებოდა, მცდარ ნაბიჯს გადადგამდა. ეს ინფორმაცია რეალურია?**

– აღმასრულებელ ხელისუფლებაში და სხვაგან არიან ადამიანები, რომლებიც არ არიან დაინტერესებული ბიძინა ივანიშვილსა და პრეზიდენტ მარგველაშვილს შორის სუბიექტური პრობლემატიკა გადაწყდეს, მათ მარგველაშვილის განცხადება კულისებიდან მართვის შესახებ კარგად გამოიყენეს, რათა ივანიშვილი დაერწმუნებინათ, რომ ის პრინციპულად და კონკრეტულად ივანიშვილს გულისხმობდა. ასე რომ, მოახერხეს, ბიძინა ივანიშვილი მაქსიმალურად განეწყოთ უარყოფითად ამ ფრაზასთან დაკავშირებით. მე ვფიქრობ, მათ შორის დაპირისპირება არ იქნება გრძელვადიანი და ფუნდამენტური, ყველაფერი გაირკვევა.

**— ირაკლი ალასანიას სკანდალურ განცხადებას, რომ ხელისუფლებამ ევროატლანტიკურ კურსს გადაუხვია, მარგველაშვილის საგანგებო ბრიფინგი მოჰყვა, თუმცა ვერავინ გაიგო, რა განცხადება დააანონსა მან. რატომ ითხოვს პარლამენტში სიტყვით გამოსვლას, რომელიც პარასკევსაა ჩანიშნული?**

– პრეზიდენტმა გააკეთა მოკლე განცხადება და იქ არ იყო განმარტებები გაკეთებული, თუმცა ვფიქრობ, იმ ფონზე იყო დროული განცხადება, მოგეხსენებათ, პრეზიდენტი არის არბიტრი და ის ვერ გახდება მხარე, პოლიტიკური პოლემიკის პირობებში, მისი ფუნქციაა, კრიზისი გადაილახოს და პრობლემები ჩააცხროს. რადგან „თავისუფალმა დემოკრატებმა“ განაცხადეს, რომ შეთქმულება და გადატრიალება ხდება სახელმწიფოს საგარეო კურსის ცვლილებასთან დაკავშირებით, რისი დემონსტრირებაც მოხდა, მე ვფიქრობ, პრემიერ-მინისტრმა მიიღო ერთადერთი სწორი გადაწყვეტილება, როდესაც ალასანია გაათავისუფლა დაკავებული თანამდებობიდან, ამაზე პრეზიდენტის პასუხი იყო სრულიად ადეკვატური, მან თქვა, რომ მე პირადად კითხვები არ მაქვს, მაგრამ თუკი ვინმეს აქვს კითხვები, ეს არის არა ჩვენ მიერ გაცხადებულ ორიენტაციაზე, ჩვენს ქვეყანაში ამ მხრივ პრობლემა არ არსებობს, მაგრამ რაც შეეხება აღსრულებას, რა ნაბიჯები იდგმება, რომ მიზნამდე სწრაფად მივიდეთ, მან მოითხოვა ამ თემებზე დისკუსიის გახსნა. საგარეო ორიენტაციაზე ბევრ ლაპარაკს სჯობია საქმე მოვიკითხოთ, მისი განცხადების მოკლე შინაარსი სულ ეს არის. იმისთვის, რომ კითხვის ნიშნები მოიხსნას, მთავრობას სთხოვა დღის წესრიგში შეიტანონ და განიხილონ ხელშეკრულების აღსრულების მიმდინარეობა. ერთი მხრივ, მან შეასრულა არბიტრის როლი და მეორე მხრივ, მთავარი მომლაპარაკებლის ფუნქცია საერთაშორისო პოლიტიკაში, რომ მან მონიტორინგი გაუწიოს

*გაგრძელება მე-4 გვერდზე*

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## მინდია ჯანელიძე სამხედრო ატაშეებს შეხვდა



თავდაცვის მინისტრი, მინდია ჯანელიძე საქართველოში აკრედიტებულ უცხო ქვეყნის სამხედრო ატაშეებს შეხვდა. გაცნობითი ხასიათის შეხვედრაზე იმყოფებოდნენ ასევე, გენერალური შტაბის უფროსი, გენერალ-მაიორი ვახტანგ კაპანაძე, მისი მოადგილე პოლკოვნიკი გიორგი კბილცეცხლაშვილი და თავდაცვის სამინისტროს სხვა ხელმძღვანელი პირები.

ჯანელიძემ ხაზგასმით აღნიშნა, რომ საქართველოს საგარეო კურსი უცვლელია და საქართველო ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციისკენ მიისწრაფვის. მინისტრმა საქართველოს შეიარაღებული ძალების მშენებლობის პროცესში თავდაცვის უწყების პრიორიტეტებზე გაამახვილა ყურადღება.

„გაკეთდა გზავნილები ჩვენი უცხოელი პარტნიორებისთვის იმასთან დაკავშირებით, რა არის ჩვენი მთავარი პრიორიტეტები შეიარაღებული ძალების მშენებლობის პროცესში. გაკეთდა კომენტარები იმასთან დაკავშირებით, რა იქნება ჩვენი ძირითადი მუშაობის მიმართულებები და ამოცანები, რაც უნდა შევასრულოთ ამ მიმართულებებზე მუშაობის პროცესში. ასევე, მოვისმინეთ მათი მოსაზრებები. რა თქმა უნდა, ატაშატთან ურთიერთობის გაგრძელება და საერთაშორისო ურთიერთობები არის და იქნება ჩვენი სამინისტროს მუშაობის ერთ-ერთი მთავარი მიმართულება. იმედი მაქვს, რომ ეს ურთიერთობები თავდაცვის სამინისტროსა და შეიარაღებული ძალების შესაძლებლობების განვითარებაში იქნება გამოყენებული“, – განაცხადა თავდაცვის მინისტრმა. (ინტერპრესნიუსი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## მცხეთის რაიონში ახალი სანერგე მოეწყობა



გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს ეროვნული სატყეო სააგენტოს ინიციატივით, მცხეთა-მთიანეთის რეგიონში, სოფელ ლაფანაანთკარში ახალი სანერგე მოეწყობა. ტყის დროებითი სანერგეების არსებობა მნიშვნელოვანია ტყის აღდგენის სამუშაოების წარმოებისთვის, რაც ბოლო 15 წლის განმავლობაში არ განხორციელებულა. სანერგეში მოხდება ნერგების გამოყვანა, რომლითაც 2 წლის შემდეგ დეგრადირებული და ეროზირებული ფართობების განაშენიანება მოხდება.

სანერგეში ტყის ძირითად სახეობებთან ერთად (შავი ფიჭვი, მინდვრის ნეკერჩხალი) წითელი ნუსხით დაცული სახეობების (ღვია გრძელყუნწა, ღვია გართხმული, ღვია აღმოსავლეთის) გამოყვანა მოხდება.

დროებითი სანერგეები გარემოს დაცვის სამინისტროს ინიციატივით, კახეთში, სამცხე-ჯავახეთში, გურიასა იმერეთში მოეწყობა. ჯამში, 2000-მდე სხვადასხვა სახეობის თესლი დაითესება, საიდანაც 500 000-მდე ნერგი მიიღება. (ნიუპოსტი)

*მესამე გვერდიდან*

პროცესის მიმდინარეობას. თუმცა სჯობდა მაშინვე ბევრი განმარტება გაკეთებულიყო. რატომღაც საზოგადოების გარკვეულმა ნაწილმა ვერ გაიგო, რას გულისხმობდა თავის განცხადებაში პრეზიდენტი.

**— რაც შეეხება ირაკლი ალასანიას, რატომ უმტყუნა ნერვებმა, გაცილებით მომგებიან პოზიციაში არ იქნებოდა, რომ გამოძიების შედეგებს დალოდებოდა მინისტრის პოსტზე, თუკი, რა თქმა უნდა, ის გარეული არ არის კორუფციაში? ფიქრობთ თუ არა, რომ გამოძიება ალასანიამდეც მივა და მას მოუწევს სასამართლო დარბაზში თავის მართლება.**

– ძნელი სათქმელია, რა და როგორ იქნება, ფაქტია, მე ვიზიარებ ყოფილი პრემიერ-მინისტრის მოსაზრებას იმასთან დაკავშირებით, რომ პასუხისმგებლობის მქონე პოლიტიკოსი, როცა ჩნდება მისი უწყების მიმართ კითხვის ნიშნები, იმისთვის, რომ რისკი არ გადავიდეს მის პოლიტიკურ პარტნიორებსა და მის უწყებაზე, დროებით მაინც იჩერებს თავის უფლებამოსილებას, როგორც კი კითხვის ნიშნები იხსნება, უბრუნდება თავის სტატუსს. ამის ნაცვლად ირაკლი ალასანია ხდება თავისი პოლიტიკური პარტიის თავმჯდომარე, ამით, ჩემი აზრით, მისი პოლიტიკური პარტნიორები დარტყმის ქვეშ დააყენა. თუ ვივარაუდებთ, რომ საქმე მიიღებს ცუდ მიმართულებას, ეს ნიშნავს, რომ ამით აზიანებს ალასანია პარტიას და რისკის ქვეშ აყენებს თანამოაზრეებს. ნაცვლად ამისა, ალასანია ხდება საკუთარი პარტიის თავმჯდომარე და რჩება შთაბეჭდილება, რომ ხდება პოლიტიკური ფიგურა იმისთვის, რომ თავი დაიცვას შესაძლო სამართლებრივი პასუხისმგებლობისგან.

**— ღარიბაშვილმა ალასანიასა და მის გუნდს ბრალი დასდო დასავლეთში მიხეილ სააკაშვილთან ფარულ ალიანსში და განაცხადა, რომ ისინი დასავლეთში არა თუ ამხელდნენ სააკაშვილის რეჟიმს, არამედ იცავდნენ. როგორც ჩანს, პრემიერ-მინისტრს მხედველობაში ჰქონდა ის ფაქტიც, როცა ალასანია ვაშინგტონში ოფიციალურ ტრიბუნაზე გამოვიდა და მადლობა გადაუხადა მიხეილ სააკაშვილს, სახელმწიფო ინსტიტუციების შექმნაში. გარდა ამისა, ალასანია აცხადებდა, რომ უნდა მივუტევოთ „ნაციონალებს“ ჩადენილი დანაშაული.**

– ვინც ჩახედულია პოლიტიკაში, „ნაციონალური მოძრაობისა“ და „თავისუფალი დემოკრატების“ პირდაპირი კავშირის დანახვა არ არის მთლად სწორი შეფასება, შეიძლება ირიბად რაღაც ხდება, შეიძლება ზოგიერთ „თავისუფალ დემოკრატს“ კიდეც აქვს კომუნიკაცია „ნაცმოძრაობის“ წევრებთან, მაგრამ „თავისუფალ დემოკრატებში“ არიან ისეთი ადამიანებიც, ასეთი რამის თქმა, ჩემი აზრით, არასწორია. ბატონმა პრემიერ-მინისტრმა „თავისუფალი დემოკრატების“ მთელ გუნდს, ვინც საგარეო პოლიტიკას კურირებდა, ბრალი დასდო, რომ ისინი საბოტაჟს ეწეოდნენ და „ნაცმოძრაობის“ წისქვილზე ასხამდნენ წყალს. ეს ხომ იყო პროცესი და ერთ დღეში არ მომხდარა, მაშინ სხვა კითხვა ისმება ღარიბაშვილის მიმართ, რამდენად კარგი მენეჯერია ის. მე ვფიქრობ, რომ ღარიბაშვილის მხრიდან ამ დღეებში ნათქვამი, ყველა მწვავე და კრიტიკული განცხადება „თავისუფალი დემოკრატების“ მიმართ „რიკოშეტით“ უბრუნდება მასვე, კითხვები, რომელსაც ბატონი ირაკლი ღარიბაშვილი სვამს „თავისუფალი დემოკრატების“ მიმართ და ის ბრალდებები, რომელსაც მათ მიმართ აჟღერებს, სამწუხაროდ, დიდწილად ბუმერანგივით უბრუნდება, რადგან საზოგადოებაში ჩნდება კითხვა, – კი მაგრამ, პრემიერო, თუკი ასეთი რამ ხდებოდა, სად იყავი?!. რაც უფრო მწვავე განცხადებას გააკეთებს ის, ჩათვალოს, რომ ეს სიმწვავე მის მიმართ შესაბამისად იზრდება. თუ რატომ ვერ ხვდება ამდენს, სიმართლე გითხრათ, ცოტა დაბნეული ვარ...

**— არის შანსი, რომ ირაკლი ალასანიამ ირაკლი ღარიბაშვილი გადაიყოლოს?**



**„ღარიბაშვილის მხრიდან ამ დღეებში ნათქვამი, ყველა მწვავე და კრიტიკული განცხადება „თავისუფალი დემოკრატების“ მიმართ „რიკოშეტით“ უბრუნდება მასვე, კითხვები, რომელსაც ბატონი ირაკლი ღარიბაშვილი სვამს „თავისუფალი დემოკრატების“ მიმართ და ის ბრალდებები, რომელსაც მათ მიმართ აჟღერებს, სამწუხაროდ, დიდწილად ბუმერანგივით უბრუნდება, რადგან საზოგადოებაში ჩნდება კითხვა, – კი მაგრამ, პრემიერო, თუკი ასეთი რამ ხდებოდა, სად იყავი?!.“**

– ასე დრამატულად მოვლენებს არ შევხედავდი, პრინციპში, ამის პირდაპირი ნიშნები ჯერჯერობით არ არის, თუმცა რაც დრო გადის, მისი მოქმედებების დიაპაზონი უფრო და უფრო იზღუდება. ის ძალიან რთულ ვითარებაშია დღეს, მას აქვს სერიოზული მოვლენები პოლიტიკურ გუნდთან, იმ გუნდთან, რომელმაც უნდა წარმართოს საშინაო და საგარეო პოლიტიკა. ობიექტურად უნდა ვთქვათ და ამ გუნდს, ასე იყო თუ ისე, თავისი კონტაქტები და კავშირები ჰქონდა, ცუდად თუ კარგად, ეს სხვა საკითხია. არ დაგვავიწყდეს, რომ ჩვენ მხოლოდ ეს პრობლემა არ გვაქვს, პრობლემებია ეკონომიკური თვალსაზრისით, უსაფრთხოების კუთხით, იგივე სამართალდამცავი სისტემის მიმართულებით, რომელსაც არ უნდა, ხელიდან გაუშვას სპეციფიკური მექანიზმები, ახლა მოდის მოსმენების საკითხის თემაც. მოკლედ, ძალიან სერიოზული გამოწვევებია ქვეყანაში. ერთი, რაც შემიძლია ვთქვა, ისაა, რომ მე ვფიქრობ, მართვის კონტროლი პრემიერ-მინისტრს ცოტა გაექცა. სამწუხაროდ, გუნდიც არ ჩანს, რომელთან ერთადაც პრემიერი ამის გადალახვას შეძლებს. ვუსურვებდი ღარიბაშვილს წარმატებებს, რადგან მისი წარმატება ასოცირდება ქვეყნის წარმატებებთან, თუმცა იმას გეტყვით, რომ მას ეს გაუჭირდება.

**— ფაქტია, რომ პოლიტიკური კრიზისი გარდაუვალი იქნება. ირაკლი ალასანიამ კრიზისის სარკეში ჩაგვახედა. როგორ წარმოგიდგენიათ, რა მოხდება კრიზისიდან გამოსვლის მიზნით, დაინიშნება რიგგარეშე არჩევნები?**

– ჩვენ ისეთ ქვეყანაში ვცხოვრობთ, შეიძლება ერთ მშვენიერ დღეს სერიოზული რისკები გაჩნდეს. თუ საზოგადოებამ ხელისუფლების მხრიდან მსხვერპლის გაღება მოითხოვა, ვინ შეიძლება იყოს ეს მსხვერპლი? ეს შეიძლება იყოს სამი შტო, ამ ეტაპზე კრიზისი დაგვანახა, მაგრამ ჩვენ უნდა გვქონდეს ახალი ტალღის მოლოდინი და ასეთი კრიზისის შემთხვევაში შეიძლება მოვლენების ლოგიკამ მოითხოვოს ხელისუფლების რომელიმე შტოს შეწირვა. პრეზიდენტის შეწირვა შეუძლებელია, გამომდინარე იქიდან, რომ მას აქვს საერთო სახალხო ლეგიტიმაცია, პარლამენტის შეწირვა არავის ინტერესში არ არის, რჩება აღმასრულებელი ხელისუფლება, მე შეწირვას არ ვისურვებდი, მაგრამ შეიძლება ისე წავიდეს საქმე, რომ ამის აუცილებლობის საკითხი დადგეს.



**„მარგველაშვილის განცხადება კულისებიდან მართვის შესახებ კარგად გამოიყენეს, რათა ივანიშვილი დაერწმუნებინათ, რომ ის პრინციპულად და კონკრეტულად ივანიშვილს გულისხმობდა. ასე რომ, მოახერხეს, ბიძინა ივანიშვილი მაქსიმალურად განეწყოთ უარყოფითად ამ ფრაზასთან დაკავშირებით“**

**ნინო სამხარაძე**
**599 71-14-22**

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...



## „თეორიულად შესაძლებელია, რომ ზურაბ აბაშიძე ვიცე-სპიკერად დარჩეს“

პარლამენტის საპროცედურო საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის, გიორგი კახიანის განცხადებით, თეორიულად შესაძლებელია, რომ ზურაბ აბაშიძე პარლამენტის ვიცე-სპიკერად დარჩეს. მისი განმარტებით, რეგლამენტით გათვალისწინებულია, რომ საპარლამენტო უმრავლესობას არანაკლებ სამი ვიცე-სპიკერის დასახელების უფლება აქვს. კახიანის თქმით, დღევანდელი მდგომარეობით, უმრავლესობას დასახელებული ჰყავს ორი ვიცე-სპიკერი – ზვიად ძიძიგური და ზურაბ აბაშიძე.

„ჩნდება კითხვა, შესაძლებელია თუ არა უმრავლესობის კვოტით არჩეული ზურაბ აბაშიძე ვიცე-სპიკერად დარჩეს თუ არა, რეგლამენტის მიხედვით, ასეთი აკრძალვა არ არსებობს. თეორიულად შესაძლებელია, ზურაბ აბაშიძე ვიცე-სპიკერად დარჩეს, თუმცა, მეორე მხრივ, ჩნდება კითხვა: გარკვეულწილად ლოგიკას შეიძლება ეწინააღმდეგებოდეს უმრავლესობის მიერ დასახელებული თავმჯდომარის მოადგილე არ იყოს უმრავლესობის წევრი. ეს არის უმრავლესობის მიერ გადასაწყვეტი საკითხი“, – განმარტა კახიანმა.

რაც შეეხება კომიტეტების თავმჯდომარეებს, რომლებიც „თავისუფალი დემოკრატების“ წევრები არიან, კახიანის ინფორმაციით, რეგლამენტის მიხედვით, კომიტეტის თავმჯდომარეები, ლოგიკურია, რომ უმრავლესობის წევრები არიან. შესაბამისად, კომიტეტის თავმჯდომარისთვის უფლებამოსილების შეწყვეტა, კახიანის განმარტებით, შეუძლია საპარლამენტო უმრავლესობას, რადგან ამ გადაწყვეტილების მიღება სიითი შემადგენლობის უმრავლესობით ხდება. (ინტერპრესნიუსი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## სემეკი მომხმარებელს გამარტივებულ მომსახურებას სთავაზობს




საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია სოციალურ ქსელში დარეგისტრირებულებს გამარტივებულ მომსახურებას სთავაზობს.

სემეკის ცნობით, კომისიის ოფიციალურ გვერდზე „ფეისბუკში“, ელექტროენერგეტიკის, ბუნებრივი გაზისა და წყალმომარაგების საკითხებთან დაკავშირებით მომხმარებელს შეუძლია, მიმართოს კომისიას შესაბამისი კითხვებით და მოკლე დროში მიიღოს ამომწურავი ინფორმაცია. ასევე, „ფეისბუკ“-გვერდზე განთავსებულია წესები, რომლებიც ბუნებრივი გაზის ქსელზე მიერთების მსურველს დაეხმარება პროცედურების გარკვევაში.

კომისია მოქალაქეებს შეახსენებს, რომ იმ შემთხვევაში, თუ ელექტროენერგეტიკის, ბუნებრივი გაზისა და წყალმომარაგების სექტორებში მოქმედი კომპანიების მხრიდან ადგილი აქვს მათი უფლებების დარღვევას, შეუძლიათ მიმართონ საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელ ეროვნულ კომისიას ან კომისიასთან არსებულ მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივი დამცველის სამსახურს. (ინტერპრესნიუსი)

CIAN MAGENTA YALLOW BLACK



რეკლამა: ☎ 2-333-170; 577-444-442 reklama@alia.ge





სიმპათიას იწვევს ჩემში. მაგისი იმედი მაქვს, მაგრამ ეგეც განვაცხადე სახალხოდ, რომ ირაკლიმ ერთი ნაბიჯიც რომ გადადგას ისეთი, რაც საქართველოს სასიკეთო არ იქნება, არ ვაპატიებ, ამას სხვას კი არა, ჩემს შვილს არ ვაპატიებ. ირაკლი ღარიბაშვილის დისკრედიტაცია უნდოდათ მაიდანის მოწყობის მიზნით, მაგრამ ეგ უკვე აღარ გამოვა.

**— რატომ არ გამოვა, რა შეუშლით ხელს?**

– მცდელობები კი არის, მაგრამ მაგათ დაავიწყდათ, რომ კაცები კიდევ არიან ამ ქვეყანაში! არ არის ეგრე! ეს ქვეყანა „ელგებეტესი“ არ არის, არც ზოგზოგიერთების! არ გადაჯიშებულან ჯერ ჩვენს ქვეყანაში კაცემწყდება, რომ თავის დროზე დახვრეტის გაუქმებას მოვაწერე ხელი – ეს პოეტი კაცი ამას ვლაპარაკობ, იქამდე მიმიყვანეს. გილიოტინაზე უნდა დააყენო ეგენი სათითაოდ, აი, ასეა საქმე! და მაგათ გავუჭეჭყავ თავს სათითაოდ, მაგრამ მანდედან არც ერთი კაცი არ არის! სამშობლო გაამწარეს მაგათ და ქვეყანა წამართვეს! მაგათ ახალგაზრდები მოგვპარეს, ნახეთ, რა ხდება ამ ტელევიზიებში. ტელევიზიები რომ გამოთიშო ორი დღით, ეგენი გაქრებიან საერთოდ, მაგრამ (სარკაზმით) თურმე დემოკრატიაა, ჩემო ბატონო და თურმე კერძო ბიზნესი!

**— თქვენ „ლაზარეს“ შეკრებაზე განაცხადეთ, რომ „ნაციონალები“ ცდილობენ, სერიოზული დესტაბილიზაცია გამოიწვიონ ქვეყანაში და ამიტომ უნდა შეიქმნას საზოგადოებრივი საბჭო, სავაცხადე ანგარიში, რადგანაც ვიცი, რომ ანგარიშებს აცხადებენ და ის ფული სად მიდის, კაცმა არ იცის.**

**— და თქვენ ხომ რუსთაველის თეატრში გქონდათ შეკრება?**

– რუსთაველის თეატრმა დამითმო დარბაზი, თორემ, აბა, მომცენ საშუალება რომ სპორტის სასახლეში გამემართა ეს ღონისძიება, ძალით რომ ყრიდნენ ხალხს, ვითომ ყრილობა რომ ჰქონდათ, მომცენ სასახლე და ერთ დღეში გადავჭედავ დარბაზს, ერთ დღეში გამოვიყვან ნახევარ საქართველოს, თუ საჭიროდ ჩავთვლი, ამიტომ ჭკვიანად იყვნენ, სჯობია. რაც შეხება სამოქმედო გეგმას, ამაზე ვმუშაობთ და სულ მალე გვექნება, არავითარი პარტია არ მინდა, მეზიზღება ყველა პარტია, რა სიკეთეც მოგვიტანეს ამ პარტიებმა, დავინახეთ, ეს იქნება საზოგადოე-

# რეზო ამაშუკელი: „ან პროკურატურა დადებს მაგიდაზე ამ „დემოკრატების“... ვინ არიან, ყველანი რომ მაგრად კუნტრუშობდნენ თავის დროზე, თუ არადა, ამ პროკურატურას მოეკითხება ყველაფერი“

**რამდენი წევრი ჰყავს რეზო ამაშუკელს მოძრაობა „ლაზარეში“? ვინ აფინანსებს? რას ამბობს 15 ნოემბრის აქციაზე და „ნაციონალებზე“? როგორ აპირებს ამაშუკელი „ნაციონალების“ საჯაროდ გასამართლებას და რას უთვლის „ალიას“ მეშვეობით?**

**„ალიას“ ესაუბრება მოძრაობა „ლაზარეს“ დამფუძნებელი, პოეტი რევაზ ამაშუკელი:**

– პირველ რიგში, ღარიბაშვილს ვუჭერ მხარს და ამასთანავე, პატივს ვცემ იმიტომ, რომ მე არ მიყვარს ეს სიტყვა, მაგრამ აქ უნდა ვთქვა: ის „მესიჯები“, რაც მან თავიდანვე განაცხადა, ეს იყო მიმანიშნებელი იმისა, რომ ეს ის კაცია, რომელსაც უნდა ენდო. ირაკლი არ ემხრობა არც ერთსქესიან ქორწინებას, რაც ამ დამპალი „ნაციონალების“ ფორმულაა და გარდა ამისა, ამ ადამიანს ქართულად უძგერს გული და მთლიანად, რომ ვუყურებ, ძალიან დიდბი და ერს აქვს შინაგანი იმუნიტეტი, რომელმაც შეიძლება, ერთ დღეში გადაწყვიტოს ყველაფერი და მაგათ ნუ ჰგონიათ, რომ ეს ასე იოლად ჩაივლის. დამდგარან და მიწერენ ათას სიბინძურეს, მლანძღავენ და მაგინებენ, მაგრამ ვერ გამაჩუმებენ იმიტომ, რომ სანამ მაგათ მე არ ჩავრეკავ საფლავში, გინდა პოლიტიკურად და გინდა პირდაპირი გაგებით, არ მოვისვენებ. ეგენი ყველაფრის ღირსები არიან და ძალიან გული

**დაც მოძრაობა „ლაზარეც“ გაწევრიანდებაო. განსაზღვრული გაქვთ, რა უნდა გააკეთოთ, რამდენი წევრი იქნება ამ საბჭოში? სამოქმედო გეგმა უკვე გაქვთ შემუშავებული, თუ ეს მხოლოდ სიტყვებია?**

– ჩვენ განცხადება გავაკეთეთ და ნელ-ნელა ვყალიბდებით, მე საერთოდ, ორი წელია, რაც დავარეგისტრირე ეს საზოგადოებრივი მოძრაობა, მაგრამ ერთი თეთრიც არ დავადებინე ქართველებს და არ გამობრივი აზრისა და თხემით ტერფამდე ქართულად მოაზროვნე ხალხის ერთობა.

**— თქვენ ამ შეკრებაზე ასევე მოითხოვეთ სახალხოდ გასამართლება „ნაცების“, კონკრეტულად ვის გულისხმობდით და საჯაროდ როგორ უნდა გასამართლდნენ, ეს როგორ წარმოგიდგენიათ?**

– ვის ვგულისხმობ? დაატრიალეთ „ფეისბუკი“ და იქ მთელი მაგათი

*გაგრძელება მე-6 გვერდზე*



# გადაიხადეთ American Express-ით „ვისოლ ჯგუფის“ წევრ კომპანიებში და მიიღეთ გასამმაგებული MR ქულები

მორიგი სიახლე მომხმარებელს „საქართველოს ბანკისგან“ და „ვისოლ ჯგუფისგან“ – 11 ნოემბრიდან 12 იანვრამდე, **American Express**-ის ყველა ტიპის ბარათის მფლობელს, საშუალება ექნება **American Express**-ის ბარათით გადაიხადოს „ვისოლ ჯგუფის“ წევრ კომპანიებში – „ვისოლში“, „სმარტში“ და ახლა უკვე „ვენდისშიც“ და მიიღოს გასამმაგებული **MR** ქულები და ასევე, გასამმაგებული **Cashback**.

ალსანიშნავია, რომ 11 ნოემბრიდან **American Express**-ის მფლობელებს უკვე **Wendy's** ყველა რესტორანში შეუძლიათ, გადაიხადონ საკუთარი ბარათით და უგემრიელესი პროდუქტები და უმაღლესი ხარისხის მომსახურება მიიღონ.

– „ვისოლ ჯგუფი“ მოხარულია „საქართველოს ბანკთან“ ერთად გასამმაგებული სარგებელი შესთავაზოს წევრი კომპანიების – „ვისოლის“, „სმარტის“, „ვენდის“ ერთგულ მომხმარებელს, რომელიც **American Express**-ის ბარათის მფლობელია და უმაღლესი ხარისხის პროდუქტსა და მომსახურების მიწოდების გარდა, მათ მადლობა გადაუხადოს ურთიერთობისთვის. ასევე, მნიშვნელოვანია, რომ დღეიდან **American Express**-ის ბარათის მფლობელებს უკვე „ვენდისში“ შეუძლიათ, ბარათით სარგებლობა და უგემრიელესი პროდუქტების გარდა, გასამმაგებული **MR** ქულისა და **Cashback**-ის მიღება, – აცხადებს „ვისოლ ჯგუფის“ პრეზიდენტი სოსო ფხაკაძე,

– „საქართველოს ბანკი“ ზრუნავს მისი მომხმარებლისთვის ექსკლუზიური პირობების შეთავაზებაზე და ყველას, ვინც 12 იანვრამდე **American Express**-ის ნებისმიერი ბარათით გადაიხდის, „ვისოლ ჯგუფის“ სავაჭრო და მომსახურების ობიექტებში, ბანკი საჩუქრად გადასცემს გასამმაგებულ **MR** ქულას და **Cashback**-ს. ასევე, მოხარული ვართ, რომ „საქართველოს ბანკის“ **American Express**




ბარათების გადახდის ქსელი კიდევ უფრო ფართოვდება და ამიერიდან, ჩვენი მომხმარებელი, შეძლებს **American Express**-ის ბარათების გამოყენებას „ვენდისის“ რესტორნების ქსელში, – განაცხადა „საქართველოს ბანკის“ გენერალურმა დირექტორმა ირაკლი გილაურმა.

**სოსო ფხაკაძე, „ვისოლ ჯგუფის“ პრეზიდენტი:**

– დღეს ერთ-ერთი გამორჩეული დღე გვაქვს. საქართველოში ორი ძალიან მსხვილი ჯგუფი ერთობლივ აქციას უყრის საფუძველს. ძალიან სასიამოვნოა, რომ „ვისოლ ჯგუფი“ და „საქართველოს ბანკი“, მეგობრების გარდა, პარტნიორებიც არიან. „ვენდის“ გაყიდვები ყოველთვიურად იზრდება. ვფიქრობთ, ეს იმის დამსახურებაცაა, რომ მუდმივად მივყვებით მომხმარებლის ხმას – მომხმარებელი რის შეკვეთასაც გვაძლევს, ჩვენც იმას ვაკეთებთ – ესაა „ვისოლ ჯგუფის“ კულტურა. რამდენიმე ხნის წინ ჩავატარეთ კვლევები და ძალიან ბევრმა მომხმარებელმა ისურვა, რომ ისეთი კარგი ბარათი, როგორიცაა „ამერიკან ექსპრესი“, აუცილებლად უნდა იყოს „ვენდის“ რესტორნებში. ზოგადად, ძალიან სერიოზული პროგრამა გვაქვს „ვენდის“ განვითარების კუთხით საქართველოში და გვიხარია, რომ დღეიდან, ჩვენ მომხმარებელს კიდევ ერთი სურვილი ავუსრულეთ – „საქართველოს ბანკთან“ ერთად ძალიან საინტერესო აქციას ჩავუყარეთ საფუძველი, რომელიც 11 ნოემბერს დაიწყო და ერთი თვე გასტანს – ყველა ის ადამიანი, ვისაც ხელში აქვს „ამერიკან ექსპრესის“ ბარათი, თუ შევა „ვენდისში“, „სმარტსა“ თუ „ვისოლში“, გასამმაგებულ ქულებს მიიღებს. ეს იქნება ძალიან დიდი სტიმული, მით უმეტეს, რომ ახალი წელი მოდის, „ამერიკან ექსპრესის“ ბარათები ძალიან ბევრ ადამიანს აქვს და მათ გავუუმჯობესებთ ცხოვრების პირობებს, მინიმუმ, მომავალი 2 თვის განმავლობაში: გასამმაგებული ქულებით, ისინი შეძლებენ ბევრი პროდუქტი შეიძინონ საახალწლოდ „ვენდისში“, „სმარტსა“ და „ვისოლში“.

**ირაკლი გამყრელიძე, „საქართველოს ბანკის“ გენერალური დირექტორის მოადგილე:**

– „ამერიკან ექსპრესი“ არის „საქართველოს ბანკის“ ექსკლუზიური პარტნიორი საქართველოში. უკვე 100 ათასზე მეტი მომხმარებელი სარგებლობს ამ პროდუქტით და 4 ათასზე მეტ დაწესებულებაში შეიძლება „ამერიკან ექსპრესით“ სარგებლობა. ამჯერად კი მათ რიგებს დაემატა ჩვენი დიდი ხნის პარტნიორისა და მეგობრის, „ვისოლ ჯგუფის“ ერთ-ერთი ახალი და წარმატებული ბრენდი „ვენდისი“, რაც კიდევ ერთი წინგადადგმული ნაბიჯია ჩვენს თანამშრომლობაში.

ასე რომ, მოვუწოდებ „ამერიკან ექსპრესის“ მომხმარებელს, ასევე, „ვისოლ ჯგუფის“ ერთგულ კლიენტებს, ხშირად იარონ „ვენდისში“, „სმარტსა“ და „ვისოლში“.

*მიხეილ სახვაძე*

*მეხუთე გვერდიდან*

ზოოპარკი მაქვს აღწერილი (ხმას უწევს), სულყველა! თარგამაძიდან დაწყებული, სულყველა! ეგ ნაბოზრები! ბოდიში თქვენთან ამ სიტყვისთვის, კაცი გინდა, თუ ქალი... ბოკერია, თარგამაძე, ყველანი! ისე, მაგათ ურჩევნიათ, იურიდიული წესით გასამართლდნენ, რომ ცოცხლები გადარჩნენ, სხვანაირად ეგენი ცოცხლები ვერ დარჩებიან, რაც შეეხება საჯარო გასამართლებას, ეგენი უნდა დააყენო და უნდა იყოს ჩართული ტელევიზიები და მთელმა მსოფლიომ უნდა ნახოს ეს პროცესი და მხარე უნდა იყოს ხალხი და მან უნდა გაასამართლოს, ბრალმდებლად საზოგადოების წარმომადგენლები უნდა გამოვიდნენ, მაგათგან გაუბედურებული ხალხი! თამრიკო, მე სიძულვილისა და ლანძღვის მეტი მივიღე რამე? გეკითხებით! რა, თანამდებობა მოვითხოვე, ბიზნესი მაქვს რამე, თუ ფული მოვითხოვე? რატომ არ ფიქრდება ამაზე არავინ? რომ დამდგარან და მლანძღავენ და მთათხავენ? მაგრამ დედას ვუტირებ მე მაგათ! მე შეგუებული ვარ უკვე, გარკვეული იმუნიტეტი მაქვს ამაზე, მაგრამ რასაც მეტს მებრძვიან, ორ იმდენს გადავუხდი მაგათ და მივაყენებ კედელთან!

**— ახლა გამოცვივდებიან და იტყვიან, პროკურატურა დაინტერესდეს, პოეტი რევაზ ამაშუკელი გვემუქრება, კედელთან გვაყენებსო!**

– კედელთან მივაყენებ კი არა, ხმამაღლა ვაცხადებ: მე რომ საშუალება მქონდეს, რაც დამრჩა, არ ვიცი: ორი წელი დამრჩა სიცოცხლის, სამი წელი, თუ ხუთი წელი, სიამოვნებით დავთმობდი ამ ჩემს სიცოცხლეს, იმის ნება რომ მქონდეს, რომ ნაჯახით ავკეპო ეგენი სულყველა, თან სათითაოდ! ვიმეორებ, ამის საშუალება რომ მქონდეს! ახლა გამომიხტნენ და ყურიდან გამომიყონ ენა, მაგათი დედები და მაგათი მამები..! საშოები უნდა ამოაჭრა მაგათ დედებს სუყველას ამათი გაჩენისთვის.

**— სიტუაცია პოლიტიკურად აირია. რისი მოლოდინი გაქვთ?**

– დალაგდება ყველაფერი, ხალხი დაალაგებს, მე ვამბობ ერთ რამეს: ან პროკურატურა დადებს მაგიდაზე ამ „დემოკრატების"... ვინ არიან, ყველანი რომ მაგრად კუნტრუშობდნენ თავის დროზე, თუ არადა, ამ პროკურატურას მოეკითხება ყველაფერი, აი, ასე იქნება! ორი სიმართლე არ არსებობს და დარწმუნებული ვარ, დამნაშავეები არიან და რაც ისტერია მოაწყვეს, პრევენციული იყო და რაღაცის გადასაფარად მოაწყვეს!

**— ირაკლი ღარიბაშვილმა განაცხადა, ალასანია რომ ჩადიოდა ევროპასა და ამერიკაშიო, აცხადებდა, რომ სააკაშვილის რეფორმები სამაგალითოა და ამას უნდა დავეყრდნოთო. ამასვე აცხადებდა ქალბატონი ფანჯიკიძე, მაგრამ მკვლელობებსა და სადიზმზე არაფერი იყო ნათქვამიო.**

– მე ჩემი ყურით მაქვს მოსმენილი, რომ „ჩვენ უნდა ვაშენოთ დემოკრატია, სააკაშვილის ჩაყრილ ფუნდამენტზეო", გესმით? ძვლებსა და სისხლის ფუნდამენტზე ავაშენოთ? და „ჩვენი ვალიაო, გადავარჩინოთ „ნაციონალური მოძრაობაო!" ერთი მთხლეა ეგენი სუყველა, თან თავიდან ბოლომდე! სოროსი რამდენჯერაა ჩამოსული საქართველოში, იცით თქვენ? ეს არ იცის ხალხმა. ზოგჯერ ჩუმად, ზოგჯერ – ნათლად. რვაჯერ!

**„15 რიცხვი მოახლოვდა და მიმაჩნია, რომ არავინ არ გავიდეთ, გაეთრიონ ეგენი და თუ აპირებენ, ჩაჯდნენ იქა და წივილ-კივილი დაიწყონ, ერთ დღეში იხუვლებს ხალხი და მაგათი თავები დაგორდება ადგილზე. მერე მაგას ვერც პოლიცია უშველის და ვერც ხელისუფლება, ვერც სოროსი და ვერც მაკკეინი, აი, ასე მოუვათ მაგათ! მაგათ უნდათ პროვოკაცია, ეგენი ხომ პროვოკატორები არიან? მასე არ მოეთრნენ?"**



**„ისე, მაგათ ურჩევნიათ, იურიდიული წესით გასამართლდნენ, რომ ცოცხლები გადარჩნენ, სხვანაირად ეგენი ცოცხლები ვერ დარჩებიან, რაც შეეხება საჯარო გასამართლებას, ეგენი უნდა დააყენო და უნდა იყოს ჩართული ტელევიზიები და მთელმა მსოფლიომ უნდა ნახოს ეს პროცესი და მხარე უნდა იყოს ხალხი და მან უნდა გაასამართლოს, ბრალმდებლად საზოგადოების წარმომადგენლები უნდა გამოვიდნენ, მაგათგან გაუბედურებული ხალხი!"**

**— რა ჯანდაბა უნდოდა?**

– აი, ის უნდოდა, რაც დამართეს საქართველოს და ალასანიაზე და ფანჯიკიძეზე მეც მაქვს ინფორმაცია, რომ ყველაფერს პირიქით ამბობდნენ, ეს დიდი ხნის ამბავია, რაა, მე დარწმუნებული ვარ, რომ ეს ყველაფერი, რაც მოხდა, არ არის სპონტანური ამბავი და დიდი ხანი მზადდებოდა, ეს ჩემი გონივრული ეჭვია. რაც შეეხება ხალხის ჩემს წინააღმდეგ ამხედრებას, ხახვი არ დამაჭრან ყურებზე! აქედან გეუბნებით და დიდი ასოებით დაწერეთ, დედას გიტირებთ სულყველასთქო (წყდება საუბარი, ისევ გრძელდება). რა ხდება ამ ტელეფონზე, გვისმენენ? თუ გვისმენენ, მაგათი ცოლ-შვილიც, აი, ასე! მისმინონ, თორემ რამე მაქვს დამალული, რა და შიშით ხმას არ ვიღებ.

**— ახლა რაც ხდება, ამას როგორ აფასებთ? დამოუკიდებელი მაჟორიტარები რომ შეიყვანეს უმრავლესობაში, იგივე კახა ოქრიაშვილი, გოგი ლიპარტელიანი და სხვები, ესენი ხომ აშკარა „ნაციონალები" იყვნენ?**

– მოდი, მაგ თემებზე მე ნუ დამელაპარაკები, იმიტომ, რომ ეგ ჩემი საქმე არ არის, მე ხმამაღლა ვაცხადებ, მიუხედავად იმისა, რომ ენციკლოპედიური განათლების კაცი არ ვარ, მაგრამ არავისზე ნაკლები არ ვარ და რაღაც-რაღაცები მეც ვიცი და ვამბობ: ყველაფერი გადადებული მაქვს გვერდზე, 9 წელია, ის ლექსი, რომელიც მენატრებოდა, არ დამიწერია, რადგანაც ამათთან ომში ვარ, ამ დამპლებთან, ახლა ერთადერთი ჩემი ცხოვრების მიზანია, ამათი ჩაძაღლება, მეტი არაფერი! არ ვიცი, ვინ შევიდა პარლამენტში, ვინ გამოვიდა, რა არის კონსტიტუციური და რა არა, მე მაინტერესებს ერთადერთი რამე: რაც ამათ ჩემს ერსა და ქვეყანას გაუკეთეს, ის უნდა მიიღონ ცხვირპირში და მიიღებენ კიდეც, აი, ეს არის ჩემი მიზანი, ეს რომ მოხდება, მშვიდად დავხუჭავ თვალს. მე არაფერი დამიკლია და ამ დამპლებმა იკითხონ, არც ერთი კაცი რომ არ არის. 15 რიცხვი მოახლოვდა და მიმაჩნია, რომ არავინ არ გავიდეთ, გაეთრიონ ეგენი და თუ აპირებენ, ჩაჯდნენ იქა და წივილ-კივილი დაიწყონ, ერთ დღეში იხუვლებს ხალხი და მაგათი თავები დაგორდება ადგილზე. მერე მაგას ვერც პოლიცია უშველის და ვერც ხელისუფლება, ვერც სოროსი და ვერც მაკკეინი, აი, ასე მოუვათ მაგათ! მაგათ უნდათ პროვოკაცია, ეგენი ხომ პროვოკატორები არიან? მასე არ მოეთრნენ? ყველაზე უფრო მეზიზღება მაგათი შლეიფი: ზოგი მომღერალი რომაა და ზოგი პოეტი და ზოგი ათას ღობეს გადამხტარი, მუცლის ზემოთ რომ ვერ აზროვნებენ გაიარონ, ჩვენ ნუ შევერევით, მაგრამ რაც ვთქვი, ის კარგად დაიმახსოვრონ.

**„კედელთან მივაყენებ კი არა, ხმამაღლა ვაცხადებ: მე რომ საშუალება მქონდეს, რაც დამრჩა, არ ვიცი: ორი წელი დამრჩა სიცოცხლის, სამი წელი, თუ ხუთი წელი, სიამოვნებით დავთმობდი ამ ჩემს სიცოცხლეს, იმის ნება რომ მქონდეს, რომ ნაჯახით ავკეპო ეგენი სულყველა, თან სათითაოდ! ვიმეორებ, ამის საშუალება რომ მქონდეს! ახლა გამომიხტნენ და ყურიდან გამომიყონ ენა, მაგათი დედები და მაგათი მამები..! საშოები უნდა ამოაჭრა მაგათ დედებს სუყველას ამათი გაჩენისთვის"**

**თამარ ოქრუაშვილი**
599 10-93-50

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## „ყოფილი „ნაციონალების" უმრავლესობაში გადმოსვლასთან დაკავშირებით უხერხულობას ვერ ვხედავ"



მმართველი გუნდის წარმომადგენელი, გია ვოლსკი ყოფილი „ნაციონალების" უმრავლესობაში გადასვლასთან დაკავშირებით უხერხულობას ვერ ხედავს.

„უხერხულობას შექმნის ის, რომ პარლამენტში არ იყოს უმრავლესობა და საკითხები, რომლებიც საზოგადოებისთვის არის საგანგებო მნიშვნელობის, თუნდაც ბიუჯეტის თემა, დარჩეს ჰაერში გამოკიდებული; ეს შექმნიდა უხერხულობას. დანარჩენი ყველა შემოსული თავის თავს თავისი საქმით გამოავლენს და ამის მთავარი შემფასებელი იქნება საზოგადოება. საზოგადოების წინაშე ვალი ძალიან ბევრს გვაქვს, მათ შორის მათაც ვინც ახლა შემოუერთდა უმრავლესობას", – განაცხადა ვოლსკიმ. (ინტერპრესნიუსი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## „დაინიშნა ის, ვინც დღეს მოგვევლინება, როგორც „მოღალატე" და „სიტყვის გამტეხი"...



საგარეო საქმეთა მინისტრის თანამდებობაზე თამარ ბერუჩაშვილის დანიშვნას, საგარეო საქმეთა ყოფილი მინისტრი სალომე ზურაბიშვილი ეხმაურება. განცხადებას ზურაბიშვილი „ფეისბუკის" საკუთარ გვერდზე აქვეყნებს.

„თამარ ბერუჩაშვილის დანიშვნაზე არაფერს დავწერდი და კომენტარს არ გავაკეთებდი, როგორც არასოდეს გამიკეთებია მის წინამორბედზე რამეთუ ეს სცილდება კორექტულობას და ყოფილმა მინისტრმა თავისი კოლეგები არ უნდა განსაჯოს... მაგრამ დღევანდელ შემთხვევაში არ შეიძლება არ გავაკეთო კომენტარი არა პირადად ახალ მინისტრზე – რა ჩემი საქმეა? არამედ იმ უაღრესად დამამძიმებელ მოვლენაზე, რომელიც ეხება მისი დანიშვნის გარემოებებს: დანიშნულ იქნა ის, ვინც დღეს მოგვევლინება როგორც „მოღალატე" და „სიტყვის გამტეხი"... ბერუჩაშვილი იმით არის ცნობილი დღეს, რომ გუშინ გვაფრთხილებდა, კურსი შეიცვალაო და გადავდექიო და მეორე დღეს გადათქვა სიტყვა! მე ვერ ვიტყვი, ამ ორი პოზიციიდან რომელი იყო სწორი და ეს მისი გადასაწყვეტი იყო, მაგრამ ფაქტი, რომ ამის გამკეთებელი ადამიანი არის შერჩეული, ძალიან ბევრის მთქმელია: ერთი ის, რომ გრძელდება ჩვენს ქვეყანაში მაგალითების გაქრობა... ახალგაზრდამ ვერ უნდა უყუროს რომელიმე პოლიტიკური თუ საზოგადოებრივი ფიგურისკენ და იფიქროს, ეს არის მაგალითი, რომელსაც გავყვები. და ქვეყანა უმაგალითოდ არის სიკვდილის პირას მისული ქვეყანა! მეორე ეხება მმართველობის სტილს და ეს არის კიდევ ერთი ნაბიჯი. ბევრის შემდეგ (პლასტელინა, ბულალტერი განათლების სამინისტროში, 28 წლის მარად შექებული „თალიბან მინისტრი" და ასე შემდეგ) გადადგმული მთავრობის მარიონეტის თეატრად გარდაქმნისა. მეთოდი უკვე ჩამოყალიბებულია: მხოლოდ მართვადი, მხოლოდ უხერხემლო, მხოლოდ ის, ვინც წინააღმდეგობას ვერ გაუწევს და თავისი აზრი არ გააჩნია... ეს შერჩევის მეთოდი არახალია, ძველია... „ვისაც გააფუჭებ, შენია"... ეს იმ დროს, როცა საქართველოს, როგორც არასოდეს, სჭირდება გამბედავი, შემოქმედი, მიზანმიმართული მთავრობა, რათა უსერიოზულეს დღევანდელ გამოწვევებს გაუმკლავდეს!!!" – წერს სალომე ზურაბიშვილი. (პირველი რადიო)

CIAN MAGENTA YALLOW BLACK



რეკლამა: ☎ 2-333-170; 577-444-442 reklama@alia.ge



# ლაშა ამირეჯიბი: „თავიდან ბოლომდე მოგიყვებით, ვინ სად რას აკეთებს და როგორ აყაჩაღებს ბიზნესს. ეს ადამიანები არიან ამოფარებულები ირაკლი ღარიბაშვილს... ეს ადამიანები არიან ხელისუფლების მაღალჩინოსნები“

**ვინ არიან ის მაღალჩინოსნები, ვინც ბიზნესში ერევიან? რა პირობას უყენებენ ტენდერში მონაწილეობის მსურველ ბიზნესმენებს? ვის დასტურს ითხოვენ ბიზნესის კეთებისთვის?**

**„ალიას“ „სახალხო კრების“ წევრი, ლაშა ამირეჯიბი ესაუბრება:**



– ყველამ ძალიან კარგად იცის, რომ მე დიდ პატივს ვცემ ბიძინა ივანიშვილს, მან ბევრი გააკეთა ჩემი ოჯახისთვის. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, მამაჩემთან მეგობრობდა, პატივს სცემდა და ასევე, მამაჩემსაც ძალიან უყვარდა, მაგრამ მე, როგორც საქართველოს მოქალაქეს, დღეს არ მაქვს იმისი უფლება, რომ გავჩუმდე და რაღაცეებზე თვალი დავხუჭო. ბატონმა ბიძინამ თავის ბოლო ინტერვიუში მთელი სატენდერო სქემა გაშალა, რაც მოხდა თავდაცვის სამინისტროში, მოგვიყვა, რა ხდებოდა და როგორ ხდებოდა. ეს გააკეთა ადამიანმა, რომელიც თითქოს არ ერევა ხელისუფლების მართვაში, რომელიც წავიდა ხელისუფლებიდან. ივანიშვილი საქმის კურსშია, ვის რა შეეშალა, ვინ რამდენი წაილო, რა ფულზე იყო ლაპარაკი და რამდენი წევრი გადის კაბელში. დღეს ბატონი ბიძინა ისეთივე მოქალაქეა, როგორი მოქალაქეც ვარ მე. თუ ასეა, მაშინ მეც ჩამახედონ პროკურატურის მასალებში, მიუხედავად იმისა, რომ ამ მასალებს ადევს გრიფი „საიდუმლო“. როგორც ბატონი ბიძინა ამბობს, ჯანმრთელი კრიტიკა ძალიან კარგია და ამიტომ მეც მინდა, ჯანმრთელი კრიტიკით შემოვიფარგლო: ვინაიდან, მოქალაქე ივანიშვილმა ჩაიხედა პროკურატურის საიდუმლო დოკუმენტებში, ვითხოვ, გიორგი ბადაშვილმა მეც ჩამახედოს.

მეორე – ბატონმა ბიძინამ თქვა, მე ჩასაფრებული ვარ, თუ ხელისუფლების რომელიმე წევრი დაიწყებს ბიზნესზე შეტევას, ხელების ფათურს, მაშინვე მივიღებ ზომებსო. მაშინ მე მას მივმართავ: ბატონო ბიძინა, თუკი მართლა გაინტერესებთ, დღეს ვინ აფათურებს ხელებს ბიზნესებში, ვინ არიან ჩართულები დღევანდელი ხელისუფლებიდან ყაჩაღურად, შემიძლია, გითხრათ. მათი სახელები და გვარებიც ვიცი, დამიძახეთ, შეგხვდებით და ყველაფერს მაგიდაზე დაგიდებთ. თავიდან ბოლომდე მოგიყვებით, ვინ სად რას აკეთებს და როგორ აყაჩაღებს ბიზნესს. ეს ადამიანები არიან ამოფარებულები ირაკლი ღარიბაშვილს.

**— ლაშა, სანამ ბიძინა ივანიშვილს გადასცემ დოკუმენტებს, მანამდე აქ დაასახელე გვარები.**

– არა, გვარებს აქ ვერ დავასახელებ. ეს ადამიანები იყენებენ ირაკლი ღარიბაშვილის სახელს და ძალიან დიდ ბიზნესებში არიან გაბმულები. ეს ადამიანები არიან ხელისუფლების მაღალჩინოსნები.

**— იქნებ ისიც ამიხსნა, დღეს რა ფორმით ტერორდება ბიზნესი? მე პირიქით მეუბნებიან, რომ ეს სფერო განთავისუფლდა.**

– გეუბნები, მე თვითონ მქონდა სამი შემთხვევა. ჩემმა მეგობრებმა მთხოვეს, მივსულიყავი სამ მძიმეწონოსან ბიზნესმენთან, ნაცნობებთან, იყო რაღაც საქმე, უნდოდათ პროდუქციის ყიდვა და იცი, რა პასუხები მივიღე? რა თქმა უნდა, ბატონო ლაშა, ეთქოს.

**— „რესპუბლიკელები“ დარტყმას როდი აპირებენ?**

– ჩემი ინფორმაციით, ეს მოხდება რამდენიმე თვეში. ასე მოხდება, თუ ირაკლი ღარიბაშვილმა სასწრაფოდ არ მოიკრიბა ძალები.

**— პრემიერ-მინისტრმა კონკრეტულად რა უნდა გააკეთოს?**

– უნდა გაწმინდოს სამთავრობო სტრუქტურები და შემოიკრიბოს ერთგული ხალხი. ასევე, გაარკვიოს, პარლამენტში რა ძალები უჭერენ მხარს. სასწრაფოდ უნდა გადაიკეტოს საინფორმაციო ნაკადი, რომელიც მიდის ძალოვანი სტრუქტურებიდან არა მხოლოდ „ნაციონალებთან“. როდესაც ბიძინა ივანიშვილი ამბობს, მეც მისმენენო, საქმე ცუდადაა. გავიხსენოთ და დავუკვირდეთ ერთ რამეს, როდესაც საქმე წკიპზე იყო მიმდგარი, ირაკლი ალასანია ძალიან ნერვიულობდა. რაც შეეხება თანახმა ვართ, მაგრამ თუ ესა და ეს კაცი დაგვირეკავს ხელისუფლებიდან, პრობლემა არ იქნება.

**— ესა და ეს კაცი ვინ არის?**

– ეს კაცი არის ხელისუფლების მაღალ ეშელონებში. თუკი ბატონი ბიძინა ინებებს, მე მას ყველაფერს ვეტყვი. გეუბნები, ირაკლი ღარიბაშვილის სახელს ძალიან ცუდად იყენებენ. რაც შეეხება ივანიშვილის ბოლო ინტერვიუს, მთლიანობაში ეს წაადგება ირაკლი ალასანიას, ვიდრე ახალ ხელისუფლებას. ჩვენ, ქართველებს, გვაქვს ერთი ცუდი თვისება – შეგვიძლია, დაჩაგრული, დაცემული კაცი შევიცოდოთ და ცაში ავიყვანოთ. ასე იყო ირაკლი ოქრუაშვილის შემთხვევაში.

**— მერე, ირაკლი ოქრუაშვილმა რა ჩიტი დაიჭირა?**

– ხალხმა ხომ დაუჭირა მხარი იმ პერიოდში? დღეს ირაკლი ალასანიაც მაგ პოზიციაშია, გესმის? ძალიან ბევრს ჰგონია, რომ ხელისუფლებამ დაჩაგრა. ამაზე ლაპარაკობს მთელი თბილისი, რომ ბიძინა ივანიშვილის გამოსვლა ალასანიას უფრო წაადგა. საზოგადოების ნაწილი დაჩაგრულს დაუდგება გვერდით. ვინ არის ირაკლი ოქრუაშვილი? ეს არის ის კაცი, რომელმაც „ნაციონალებთან“ ერთად დაიწყო სიბინძურეების კეთება. ის იყო 9-წლიანი ჭუჭყისა და ტკივილის სულისჩამდგმელი. ვინ დაუდგა გვერდით მაგას? ლევან გაჩეჩილაძე, სოზარ სუბარი, გოგა ხაინდრავა!

**— ირაკლი ალასანიაც იქ იყო მაგ დროს.**

– დიახ, მის გვერდით დადგა ეროსი კიწმარიშვილიც. გია ცაგარეიშვილიც იქ არ იყო, ცხარე ცრემლით რომ ტიროდა? ახლა მიდის იგივე პროცესი. ყველაფერი ძალიან მარტივია, საზოგადოება გაიყო ორად. შემდეგ ნაბიჯს ძალიან მალე გადადგამენ „რესპუბლიკელები“, შემდეგ შეტევას კოალიციაზე განახორციელებენ ეს ადამიანები. ეს აუცილებლად მოხდება, თუ ირაკლი ღარიბაშვილმა რაიმე საგანგებო ზომები არ მიიღო. თუმცა რა ზომები უნდა მიიღოს, როცა მას ერთი სანდო პოლიტიკური თანამოაზრეც კი არ ჰყავს? დამისახელე ერთი მძიმეწონოსანი პოლიტიკოსი, რომელიც მის გვერდით დგას. ვიმეორებ, შემდეგი დარტყმისთვის ემზადება „რესპუბლიკური პარტია“. მე საკუთარ ინფორმაციებზე დაყრდნობით გელაპარაკები, არ გეგონოს, ვინმესთან რამე მქონდეს პირადული, მოვუტ...ან ყველას კეთილები, ვინც ჩემი ქვეყნის წინააღმდეგ წავა! რამდენიმე დღის წინ ქვეყანა გადაარჩინა თეა წულუკიანმა. ეს ადამიანიც რომ გამოსცლოდა კოალიციას, ამას დაემატებოდა განათლების მინისტრი, თამარ სანიკიძე, რომელიც გიორგი მარგველაშვილის პროტეჟეა. ამას აუცილებლად მოჰყვებოდა „რესპუბლიკელი“ პაატა ზაქარეიშვილი და შემდეგ მარგველაშვილს ექნებოდა იმის საშუალება, რომ მთავრობა დაეშალა და ხელახლა წარედგინა ირაკლი ალასანიას მეთაურობით. აი, ეს იყო გეგმა. დაუკვირდი, პრეზიდენტმა რა ფრაზა წამოისროლა – ქვეყანა კულუარებიდან იმართებაო. ახლა იმაზეც ვთქვათ, მის ინიციატივას ვინ არ დაუჭერდა მხარს პარლამენტში? „ნაციონალები“ დაუჭერდნენ, „რესპუბლიკელები“ დაუჭერდნენ, „თავისუფალი დემოკრატები“ თავისთავად დაუჭერდნენ. აქ არ დაგავიწყდეს ნაყარნუყარა პარტიები და მათი ლიდერები. შენ როგორ გგონია, ზვიად ძიძიგური, რომელიც „ნაციონალ“ ლილუაშვილზე, შავლოხაშვილსა და ფეიქრიშვილზეა გადაფოფრილი? ეგენი მედროვეები არიან, საითაც თბილად იქნებიან, იქით გადასწევენ თავიანთ ჭუჭყიან ტრაკებს!

წულუკიანმა მიიღო სწორი პოლიტიკური გადაწყვეტილება, ქვეყანას აარიდა ქაოსი. თუმცა ამით პროცესი არ შეჩერებულა, შემდეგ დარტყმას უნდა ველოდოთ „რესპუბლიკელებისგან, რაც ძალიან შეარყევს კოალიციას. ამ შემთხვევაში აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ ბიძინა ივანიშვილის დამსახურებაც, ის დროულად ჩაერია. ბატონ ბიძინას აქვს ერთი თვისება, მას შეუძლია, ადამიანი ცაში აიყვანოს, უზომოდ შეიყვაროს, მაგრამ ამავე დროს, შეუძლია, მიწაზე დაუნდობლად დაახტენდერებს, უკაცრავად, მაგრამ მსგავსი რამ მხოლოდ თავდაცვაში არ ხდება, შეიხედონ რეგიონებში, იქ უფრო უარესი ამბები ხდება. შექმნილია რაღაც პატარ-პატარა ჯგუფები, რომლებიც ზემოდან ასხედან ამ ტენდერებს. მაგალითად, ახალციხეში ერთ საკმაოდ კარგ ბიზნესმენს უნდოდა, რომ მონაწილეობა მიეღო, მაგრამ ადგილობრივმა ხელისუფლებამ კაცი მიუგზავნა, ამ ტენდერს თავი დაანებე, თორემ დაგიჭერთო. ასეთი შემთხვევები უკვე არაერთია. საერთოდ, საფუძვლიანად უნდა გადაიხედოს ტენდერების თემა, იქ ხდება ძალიან ბევრი დარღვევა და ძირითადად მიდის ფულის კეთება, ე.წ. „ატკატები“. ერთი ირაკლი ღარიბაშვილი ყველაფერს ვერ გააკონტროლებს, ძალოვანმა უწყებებმა და ფინანსთა სამინისტრომ უნდა ჩაიხედონ საქმეებში ყურადღებით. ცოტა ხნის წინ ერთ-ერთ რეგიონში შეაჩერეს 32 ტენდერი, სადაც დაფიქსირდა, რომ ფირმები არის შექმნილი ტენდერების გამოცხადებამდე რამდენიმე დღით ადრე. ასეთი აღმოჩნდა 12. ამის გამო ვინმე დაისაჯა, ან საქმეები აღიძრა? არა, შეჩერდა და მორჩა. ჩაიხედონ საქმეებში და იმდენი „ირაკლი ალასანია“ ამოვარდება, თვითონაც გაუკვირდებათ.

გელა ზედელაშვილი
555 48-48-61

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...



## „ცუდია, რომ ვჩქარობთ, არ ველოდებით ევროპული კონვენციის შედეგებს“

დეპუტატ შალვა შავგულიძის განცხადებით, ის რომ პარლამენტში ამჟამად ოპოზიციას წარმოადგენს, კანონპროექტების დამუშავებასა და დახვეწის პროცესში არაფერს ცვლის. მან, ასევე, ისაუბრა პერსონალური მონაცემების დაცვის საკითხებთან დაკავშირებით.

„დეკემბერში ბრიუსელში ტარდება ევროპული კონვენცია, ევროპული საბჭოსა და ევროპარლამენტის ეგიდით, სწორედ ტელეკომუნიკაციების კომპანიების საქმიანობასთან და პერსონალური მონაცემების დაცვის საკითხებთან დაკავშირებით. უნდა შემუშავდეს 1-ელ იანვრამდე ჩარჩო სტანდარტები ევროპული კანონმდებლობისთვის, ჩვენ რატომღაც ასეთი სიჩქარით რომ ერთ თვეში გავაკეთოთ ცუდად, რაც სამ თვეში შეგვეძლო კარგად გაგვეკეთებინა, ვასწრებთ ევროპას და არ ველოდებით ამ კონფერენციის შედეგებსა და სტანდარტებს, რომელიც იქნება შემოთავაზებული“. – განაცხადა შავგულიძემ. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## „პრეზიდენტმა ინფორმაცია მიიღო ჩვენგან“



პრეზიდენტთან ტელეკომპანიების ხელმძღვანელთა შეხვედრის დეტალებზე ისაუბრა ტვ „ტაბულას“ დირექტორმა თამარ ჩერგოლეიშვილმა.

„შეხვედრა პროდუქტიული იყო, ინფორმაცია მიიღო ჩვენგან უფრო პრეზიდენტმა, ვიდრე ჩვენ პრეზიდენტისგან, რადგან მას აინტერესებდა ჩვენი მოსმენა. ზოგადად კარგი ტრადიცია დამკვიდრდა, ჩვენგან პირველად ინფორმაციას იღებს სახელმწიფოს მეთაური და მისი ბოლოდროინდელი ნაბიჯი – ვეტო გვაძლევს ოპტიმიზმის საფუძველს, ვიფიქროთ, რომ ჩვენი შეხვედრები მხოლოდ საუბრად არ დარჩება და მას კონკრეტული ქმედებები მოჰყვება“, – განაცხადა ჩერგოლეიშვილმა.

პრეზიდენტთან შეხვედრაზე კომპანიების წარმომადგენლებმა პრობლემურ თემებად სოციალური და კომერციული რეკლამების, ასევე ფინანსური გამჭვირვალობის შესახებ კანონები დაასახელეს. შეხვედრა კითხვა-პასუხის რეჟიმით წარიმართა. მხარეების შეთანხმდნენ, რომ საჭიროების შემთხვევაში მსგავსი ფორმატით მომავალშიც შეიკრიბებიან. (ნიუპოსტი)

„ნაცმოძრაობის“ წევრები მოსახლეობას 15 ნოემბერს რუსული ოკუპაციისა და ანექსიის წინააღმდეგ მიმართულ აქციაში მონაწილეობისკენ მოუწოდებენ. გიორგი ვაშაძის თქმით, „პროვოკაციები ძალიან ბევრი გვინახავს ხელისუფლების მხრიდან — ეს იყო აქციებზე, ღონისძიებებზე მივარდნა, მაგრამ, შესაბამისად, მონაწილეთა რაოდენობა იყო იქ ძალიან მცირე. არ მგონია, იმდენად უვიცი და უსუსური იყოს ხელისუფლება, რომ ათობით ათასი ადამიანი სადაც შეიკრიბება, მოვიდეს და პროვოკაციის ორგანიზება მოახდინოს“.

რა პროვოკაციებია მოსალოდნელი აქციაზე? როგორ უწევენ „ნაციონალები“ ორგანიზებას რაიონებიდან ხალხის ჩამოყვანას? ვინ ხელმძღვანელობს უცხოეთში გასამართ პარალელურ აქციებს და რა კულუარულ ინფორმაციებს ფლობენ არასამთავრობოები?

„ალიას“ „თავისუფალი თაობის“ ხელმძღვანელი **ლადო სადღობელაშვილი** ესაუბრა:

**— ლადო, რატომ ალაპარაკდა ვაშაძე პროვოკაციაზე, ვინმე რამეს აპირებს? ხომ არ იცი?**

– ეს ვაშაძე არის იმ პარტიული ორგანიზაციის წევრი, რომელმაც მართლა მოახერხებენ ამდენი ადამიანის გამოყვანას?

(**მართლა მოახერხებენ ამდენი ადამიანის გამოყვანას?**)

– რა ათი ათასობით გამოვა? აი, მე გეტყვით, ჩვენი ორგანიზაციის ერთ-ერთი დამფუძნებელი არის ზურაბ გულორდავა, რომელმაც საათში დაიშლებიან ეგენი. სალამოსკენ 3 ათასი ძლივს დარჩება. საბოლოო ჯამში, ერთდღიანი აქცია იქნება.

**— აბა, რომ ამბობენ, კვირეული იქნებაო?**



და მანქანითაც შეაჭრას იქ.

**— ხომ არ იცით, პარტიები უერთდებიან?**

– მეც ველოდები 15 ნოემბერს, რომ დავინახო და საბოლოოდ დავრწმუნდე, ვინ ვინ არის. მაინტერესებს, რომელი პარტიები გამოვლენ მათ გვერდით დასადგომად. ვიცი, რომ ერთკაციანი პარტიები გამოდიან და „ლგბტ“ უფლებების დამცველი არასამთავრობოები, რომლებიც ოდითგანვე ბოკერიაზე იყვნენ ჩამოკიდებულები. ამათ ვიხილავთ და გვექნება ჩამოყალიბებული პოზიცია, ვინ არის ამ ჯალათების გვერდით და ვინ – მოსახლეობის მხარეს. მე ვერ ავიტან, ამათ იბოგინონ, რუსთაველი გადაკეტონ და ცხოვრება არ მაცალონ ჩემს დედაქალაქში.

**— არასამთავრობოებს მიმართე ცოტა ხნის წინ, ერთობლივი ღონისძიებები დავგეგმოთო. თუ გამოგეხმაურნენ?**

– ეგენი არიან კურდღლები, შენ მაგათ არ იცნობ... უამრავი ინფორმაცია მაქვს. წარმოიდგინე, მირეკავენ და მეკითხებიან, ეს ხალხი ჩვენი პასუხისმგებლობის ქვეშ გა-

– რაც საჭიროა, იმას, მეთოდი ბევრია.

**— ვაშაძემ თქვა უცხოეთის 10 ქალაქში ტარდება პარალელური აქციებიო. ხომ არ გაქვს ინფორმაცია, ვინ არიან იქ ორგანიზატორები?**

– მას შემდეგ, რაც ივანიშვილი მოვიდა ხელისუფლებაში, იგივე ამერიკაში „ნაციონალების“ დიდი ნაწილი წავიდა. მაშინ მე საფრანგეთში ვიყავი და დავინახე, იქაც ბევრი „ნაციონალი“ ჩამოვიდა. ჩვეულებრივი ამბავია, რომ კორუმპირებული ჩინოვნიკი, თავის ოჯახთან და თანამოაზრეებთან ერთად გამოვლენ და დადგებიან ეიფელის კოშკთან პარიზში, გააპროტესტებენ. ისევ ესენი უწევენ ორგანიზებას. ერთ-ერთი ორგანიზატორი საფრანგეთში, სულაშვილი, ჩემი შვილის ნათლიაა. მაგრამ მასთან ურთიერთობა მას შემდეგ გავწყვიტე, რაც გავიგე, რომ „ნაცებთან“ მეგობრობდა. არადა, ვიცი, რომ ეს ადამიანი „ნაცებს“ გაექცა, მაგრამ ეტყობა, ასაკში რომ შედიხარ, სხვა აზრები გიჩნდება.

**— ბევრისგან მსმენია, „ნაციონალების“ აქციას ხელისუფლებაზე განაწყენებული ბევრი ადამიანი შეუერთდებაო.**

# სინამდვილეში რამდენ ადამიანს აგროვებენ „ნაციონალები“ 15 ნოემბრის აქციისთვის

## ლადო სადღობელაშვილი: „მე მაქვს ინფორმაცია, რომ 15-16-ის შემდეგ „ნაციონალები“ გამოაცხადებენ შიმშილობას“

დაკარგა საქართველოს ტერიტორიები, გადასცეს რუსეთს, მარიონეტულ მთავრობას მეტი ამბიცია გაუჩინეს. ერთი ხელით ყველაფერი რუსეთს მისცეს და ახლა დგანან, იგინებიან და იფურთხებიან რუსეთის მიმართულებით. არადა, სულ აწარმოებდნენ ფარულ მოლაპარაკებებს მათთან. ესენი ისეთი უსინდისო პროვოკატორები არიან, რომ გამოდიან იმ ადგილზე, სადაც 2007 წელს ხალხი დაასახიჩრეს, ისევე, როგორც 26 მაისს, იყო მსხვერპლი. ეგენი რომ მართლები ყოფილიყვნენ, დღეს ისევ ხელისუფლებაში იქნებოდნენ. მადლობა თქვან, ასე „ლაითად“ რომ გადარჩნენ არჩევნების შემდეგ. პროვოკაციების დაგეგმვას ბედავენ და უპირებენ რტყმევას იმ მოსახლეობას, რომელმაც მათ უარი უთხრა. ახლა რასაც ისინი ხელისუფლების მიმართ ამბობენ, ჩემს თავზე ვიღებ, რადგან ერთ-ერთი იმათგანი ვიყავი, ვინც სულ იყო მოტივირებული იმისთვის, რომ ხელისუფლებას მოშორებოდნენ „ნაციონალები“.

**— ათი ათასობით ადამიანი გამოვა ქუჩაშიო. ინფორმაცია ხომ არ გაქვთ,** ზუსტად გაარკვია, რომ მარტვილში 300 ლარს უხდიან კოორდინატორებს, რომ რამენაირად შეკრიბონ ხალხი და წამოიყვანონ თბილისში. მაქვს ინფორმაცია კიდევ, რომ 15-ში გამთენიისას ავტობუსები დაიძვრებიან ბათუმიდან. „ნაციონალებს“ იქ ჰყავთ ზონის უფროსები და კოორდინატორები მობილიზებული. მიდის დიდი ფულის ხარჯვა. ფულით მიცვალებულს ვერ გააცოცხლებ, თორემ ფეხმოტეხილს ააყენებ საწოლიდან და გამოიყვან. ესენი სარგებლობენ იმით, რომ მოსახლეობას ძალიან უჭირს, შეიძლება, ვერც ხვდებოდნენ, სად მოდიან და ვის მხარდასაჭერად. დარწმუნებული ვარ, რომელიღაც სოფელში სულაც არ იციან ნამდვილი მიზეზი, რის გამო ჩამოდიან თბილისში. შეიძლება, ატყუებენ კიდეც და სხვადასხვა ხრიკებით ჩამოჰყავთ აქ.

რა ათობით ათასი? აი, დავდგეთ 15 ნოემბერს რუსთაველზე და ვნახავთ, რამდენს გამოიყვანენ. ჩემი ინფორმაციით, ყველაზე დიდი, 7 ათას ადამიანს გამოიყვანენ, თანაც იცი, როგორ? ჩამოვლენ თუ არა, 2-3

– კი, ამბობენ, მაგრამ მათ შემთხვევით არ აურჩევიათ 15 ნოემბერი. შაბათი დღე შეარჩიეს იმიტომ, რომ კვირაც გამოეყენებინათ. მე მაქვს ინფორმაცია, რომ 15-16-ის შემდეგ „ნაციონალები“ გამოაცხადებენ შიმშილობას, ექნებათ წვრილ-წვრილი პროვოკაციები, რომ როგორმე გადააგორონ სამუშაო დღეები და მერე ისევ 22-23-ში გააკეთონ ბოლო „გასროლა“, „ვარდების რევოლუციის“ წლისთავისთვის. რაღა დაგიმალოთ და ძლივს ვაკავებ ჩემს ბიჭებს, ისეთი მოტივირებულები არიან, რომ მივიდნენ.

**— კონტრაქციის ჩატარებას ხომ არ აპირებთ? მახსოვს ამაზე კატეგორიულ უარს ამბობდით.**

– არა, მაგრამ ბიჭებს ძალიან უნდათ. ტემპერატურა აუცილებლად აიწევს. არავის ესიამოვნება, გლდანის ნაგავსაყრელი რუსთაველზე რომ გადმოიტანონ, ასეა ჩვენთვის მაგათი გამოსვლა. ესენი არიან მოღალატე, გამყიდველები და გული ვის მოუთმენს, ერთ მუშტად შეკრულებს რომ დაინახავს მაგათ? არაა გამორიცხული, ვიღაცას ტვინი გადაუბრუნდეს მოგვყავს და რამის მოწყობას ხომ არ აპირებთო. ვეუბნებით, რომ არანაირ კონტრაქციას არ ვგეგმავთ და ესენი შიშით რეკავენ, ხომ არ იცვლით აზრსო. ერთნი ამას გვეკითხებიან და მეორენი არიან ის ნაწილი, კამიკაძეებივით თავის შეწირვაზეც რომ წავლენ, თუ რამე პროვოკაცია მოხდება, მზად არიან, თავი შეაკლან. მაგათ უნდათ, ვინმე დაიჭრას, დაშავდეს, რომ მერე მე მომაწერონ. კიდევ ერთხელ ვამბობ, არანაირი ჩვენი კონტრაქცია არ იგეგმება, სხვამ თუ დაგეგმა, არ გავალთ მაინც.

**— და როგორ იცით, სხვები აპირებენ?**

– კი, აპირებენ გარკვეული ჯგუფები, მაგრამ ჩვენ არ მივალთ იქ, თუმცა არც იმას დავმალავ, რომ ვერ მოვითმენ ერთი კვირა ჩემს ქალაქში ამათ ბოგინს.

**— აბა, არ ვაპირებთ გასვლასო?**

– თუ გააგრძელეს, მერე უკვე აღარ ვარ პასუხისმგებელი. ერთი დღე ქვა უხლიათ თავში, მაგრამ მეორე და მესამე დღე ვერ მივართვით. ამას ვერ ავიტან ნამდვილად.

**— და რას მოიმოქმედებთ? ასეთები აპირებენ მისვლას, რა ინფორმაცია გაქვთ?**

– არ გამოვა ასეთი ხალხი. ქვეყანა უკან არ მიდის, ხელფასები და პენსიები არ გვაკლდება, ჯანდაცვა არ უარესდება. ადამიანებში ისეთი უარყოფითი მუხტი არ არის, ქუჩაში რომ გამოვიდეს. ესენი არიან განაწყენებული „ნაციონალები“, რომელთაც დაკარგეს პრივილეგიები. გამგებლები, საკრებულოს წევრები ჩამოდიან და აპირებენ ერთკვირიან დებოშს. სიცივეში ესენი დალევენ, დათვრებიან, აყროლდება იქაურობა და აი, ამას ვნახავთ რუსთაველზე, თუ ერთ დღეზე მეტხანს გაგრძელდება აქცია. ჩვენ 14 ნოემბერს „ნაციონალების“ ოფისთან გავმართავთ გამაფრთხილებელ აქციას. მხოლოდ ჩვენ მივალთ და დავაფიქსირებთ, რომ 23-მდე გვექნება ყაზარმული მდგომარეობა და საჭიროების შემთხვევაში გამოვალთ. ახლა ვერ გაგიმხელთ გეგმებს, მაგრამ მობილიზებული ვართ და ერთი სული გვაქვს, ამათ რამე შეეშალოთ.

**ჟანა ასანიძე**

568 00 14 14

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი...



## „ეს იყო ემოციურ-სოლიდარული გაუგებრობა“

საგარეო საქმეთა ახალი მინისტრი ყოფილი მინისტრის მოადგილეობის დროს რამდენიმე საათით პოსტის დატოვებას „ემოციურ გაუგებრობას“ უწოდებს.

ბერუჩაშვილის თქმით, საკუთარი საქმიანობის პრიორიტეტი ევროატლანტიკური ღირებულებების დაცვა იქნება.

„კურსი არის შეუქცევადი. ეს არის ჩვენი ეროვნული და ეგზისტენციალური არჩევანი. არც ერთ მთავრობას არ ექნება იმის ფუფუნება, რომ ამ კურსს გადაუხვიოს. ჩემი ეჭვები რამდენიმე საათს გაგრძელდა, მინდა ვთქვა, რომ ეს იყო ემოციურ-სოლიდარული გაუგებრობა. პრემიერ-მინისტრმა და მთავრობის სხვა წევრებმა მკაფიოდ და ნათლად უპასუხეს ჩემს შეკითხვებს. ჩემთვის დიდი პატივია ამ თანამდებობაზე წარდგენა. მინდა დავპირდე ყველას, რომ ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ იმისთვის, რომ ქართული დიპლომატია იყოს წარმატებული“, – აღნიშნა თამარ ბერუჩაშვილმა. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## თბილისი შესაძლოა, ისევ რუსული გაზის მოხმარებაზე გადავიდეს




ყაზახური მენეჯმენტი „ყაზტრანსგაზში“ დაბრუნების სანაცვლოდ 10 მილიონ დოლარს გადაიხდის. ყაზახურმა კომპანიამ თბილისის გაზის დისტრიბუტორი კომპანია 12,5 მილიონ დოლარად 2006 წელს იყიდა, თუმცა დაპირებული 82 მილიონი დოლარის ინვესტიცია ვერ განახორციელა და 80 მილიონი ლარის დავალიანება დაუგროვდა. აქედან 68 მილიონი საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის მიმართ. 2010 წელს ძველმა ხელისუფლებამ ყაზახური მენეჯმენტი „ყაზტრანსგაზს“ ჩამოაცილა, რამაც ყაზახეთის უკმაყოფილება გამოიწვია.

„ძველ ხელისუფლებასთან დავა გვქონდა. მეტიც, მათგან ზეწოლას განვიცდიდით. საქმე ფულს ეხებოდა და ეს საკითხიც მოვაგვარეთ. გადავიხდით 10 მლნ დოლარს 6 თვის განმავლობაში. ჩვენი მენეჯმენტის დაბრუნების დრო კი უკვე თქვენი მთავრობის გადასაწყვეტია. დაინტერესებულები ვართ საქართველოში მუშაობა გავაგრძელოთ. ეს, უპირველეს ყოვლისა, კარგი ბიზნესია, მაგრამ ამავე დროს სტრატეგიულიც სამომავლოდ. გაზის მოწოდება ამ ეტაპზე აზერბაიჯანიდან ხორციელდება, შემდეგ კი შესაძლოა, ყაზახეთიდან ან რუსეთიდანაც მოვახერხოთ“, – განაცხადა „ყაზმუნაი გაზის“ თავმჯდომარის მოადგილემ დანიარ ბერლი ბაევმა. (ნიუპოსტი)




# რა სიტყვების გამო ატყდა თბილისის საკრებულოში ჩხუბი?



თბილისის საკრებულოში გარემოს დაცვის კომისიის სხდომაზე დაპირისპირება მოხდა. კომისია ძაღლების კერძო თავშესაფრის პრობლემებს განიხილავდა, რომელიც ბიზნესმენ თამაზ ელიზბარაშვილის დაფუძნებულია. სხდომას ცხოველთა უფლებების დამცველი ორგანიზაციებისა და მოსახლეობის წარმომადგენლები ესწრებოდნენ. საკითხის განხილვამ მხარეებს შორის დაძაბულობა და კამათი გამოიწვია. ნაჩვენები იყო ორი ვიდეომასალა – ერთი, რომელიც გადაღებული იყო მოსახლეობის მიერ და ელიზბარაშვილის კუთვნილი თავშესაფრის გარშემო არსებულ სიტუაციას ასახავდა, ხოლო მეორე გადაღებული იყო აღსრულების ბიუროს მიერ, როგორც იურიდიული ფაქტის კონსტატაცია. მასში ნაჩვენებია თავშესაფრის კედელთან დამარხული ძაღლები. მოსახლეობამ სხდომაზე აღნიშნა, რომ შეწუხებულია თავშესაფრის ძაღლების ყეფით, სუნით. ისინი ასევე აცხადებენ, რომ თავშესაფრის გარეთ თავს იყრიან მაწანწალა ძაღლები. თავშესაფრის მესვეურები კი აცხადებენ, რომ ეს ძაღლები მათი არ არის და თავშესაფარში არ შეჰყავთ.

სხდომაზე კონფლიქტი ელიზბარაშვილის ვაჟიშვილსა და სვანიძის ქუჩის (ვაკე, სადაც თავშესაფარი მდებარეობს) ერთ-ერთ მცხოვრებს შორის მოხდა. ელიზბარაშვილის შვილი მოქალაქე ტარიელ ჭანტურიძეს ხელით შეეხო. მოქალაქეების ადვოკატი ნოდარ მჭედლიშვილი აცხადებს, რომ ძაღლების თავშესაფრის ამ ქუჩაზე დატოვების წინააღმდეგია 14 ოჯახი და ბინის მესაკუთრეთა ამხანაგობის 100 წევრი. ისინი აპირებენ, რომ, თუ პრობლემა საკრებულოს დონეზე არ გადაწყდება, სასამართლოს მიმართონ. სხდომაზე თავისი პოზიცია ასევე დააფიქსირეს ცხოველთა უფლებადამცველებმა. ისინი აცხადებენ, რომ თამაზ ელიზბარაშვილი სრულიად უანგაროდ აკეთებს კეთილ საქმეს და უვლის უპატრონო ძაღლებს, რასაც ხელისუფლება არ აკეთებს.

სვანიძის ქუჩაზე არსებული თავშესაფრის დირექტორმა თეიმურაზ მამოევმა განაცხადა, რომ თავშესაფარი 2004 წლიდან ფუნქციონირებს, დღეისთვის იქ 400 ძაღლი, 8 დათვი და 1 ტურაა. თამაზ ელიზბარაშვილი მიიჩნევს, რომ პრობლემა მხოლოდ 2-3 მეზობლის მიერ არის გამოწვეული, რომლებიც ძაღლების ხმაურისგან შეწუხებულები არიან. ელიზბარაშვილმა სხდომა დამთავრებამდე დატოვა, გადაწყვეტილება კი არ მიღებულა.

**„ალიას“ თავშესაფრის მეპატრონე, თამაზ ელიზბარაშვილი ესაუბრა:**

**— ბატონო თამაზ, როცა ეგ თავშესაფარი ააშენეთ, ეგ მიწა იყიდეთ მაშინ?**

– კი, რა თქმა უნდა, ვიყიდე.

**— რას გედავებიან მეზობლები და რა პრეტენზიები აქვთ?**

– ესენი არიან ტიპური გამომძალველები, რომელთაც წლების განმავლობაში ვუხდიდი ფულს. ყოველ წელს მთხოვდნენ უფრო და უფრო მეტს, მაგრამ ბოლოს უგუნურ ზღვარს მიაღწია ამათმა მოთხოვნამ, ბევრი მომთხოვეს. 2014 წლის სექტემბერში, უარი ვუთხარი თანხის გადახდაზე, მერე დაიწყეს ეს ამბები და ჩივილი. მანამდე არ აწუხებდათ ძაღლების ყეფა, სუნი თუ სხვა პრობლემები? 2014 წლის სექტემბრის მერე შეწუხდნენ?

**— თანხას რატომ უხდიდით და რამდენს?**

– თანხას იმიტომ ვუხდიდი, რომ ძაღლები არ დაეხოცათ. იყო ამის, თუ არ ვცდები, 3 მცდელობა, რამდენჯერმე მივმართე პოლიციას. ბოლოს გადავწყვიტე, ეს ვანდალიზმი რომ აღარ განმეორებულიყო, ფული გადამეხადა.

**— გავრცელებული ინფორმაციით, 14 მოსახლე გიჩივით და კიდევ 100-კაციანი ბინის მესაკუთრეთა ამხანაგობა.**

– არა, მე მიჩივიან ხათუნა

*გაგრძელება მე-10 გვერდზე*

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## საბავშვო ბაღების პედაგოგებს ტრანსპორტზე შეღავათები უწესდებათ



მუნიციპალურ ტრანსპორტზე შეღავათებით თბილისში საბავშვო ბაღების პედაგოგებიც ისარგებლებენ. აღნიშნული ინიციატივა თბილისის 2015 წლის ბიუჯეტშია განსაზღვრული.

საბავშვო ბაღების მიმართულებით ბიუჯეტში სხვა ინიციატივებიც არის გათვალისწინებული. კერძოდ, მომავალ წელს დაგეგმილია 8 ახალი საბავშვო ბაღის მშენებლობა, რომლისთვისაც ბიუჯეტში 20 მილიონი ლარია გათვალისწინებული. მთლიანობაში, 8 მილიონი ლარით გაიზრდება საბავშვო ბაგა-ბაღების პროგრამა, რომლისთვისაც, ჯამში, 85 მილიონი ლარი გამოიყოფა.

როგორც ნარმანიამ განაცხადა, მსგავსი შეღავათებით ასევე პოლიტპატიმრის სტატუსით განთავისუფლებული პირებიც ისარგებლებენ. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...



## ომბუდსმენმა პროკურატურიდან თავდაცვის სამინისტროს მაღალჩინოსნების საქმის მასალები გამოითხოვა

თავდაცვის სამინისტროს მაღალჩინოსნებთან დაკავშირებული საქმის მასალები ომბუდსმენმა მთავარი პროკურატურიდან გამოითხოვა.

„ჩვენი ინიციატივით დაწყებული გვაქვს ამ საქმის შესწავლა. საიდუმლო მასალებზე წვდომა აქვს სახალხო დამცველს და მე უახლოეს ხანებში აუცილებლად გამოვიყენებ ჩემს ამ უფლებას, რათა გავეცნო უშუალოდ საქმის მასალებს. ჯერჯერობით, მე არ შემიძლია არაფერის თქმა, გარდა იმისა, რომ პროკურატურას ჯერ არ გასვლია ათდღიანი ვადა, რა ვადაშიც უნდა წარმოადგინოს გარკვეული მასალები“, – განაცხადა ნანუაშვილმა. (ნიუპოსტი)

## უკრაინის რადაში ყველაზე მეტ ადგილს პოროშენკოს ბლოკი მოიპოვებს



პარტიული სიებით 64 ადგილი რადაში პრემიერ იაცენიუკის სახალხო ფრონტმა მოიპოვა, ერთი ადგილით ნაკლები – პრეზიდენტ პოროშენკოს ბლოკმა. 27, 22 და 17 ადგილი შესაბამისად, სამოპომიჩს, „რადიკალურ პარტიას“ და იულია ტიმოშენკოს „ბატკივშჩინას“ ერგოთ.

მაჟორიტარული მანდატების ჩათვლით, წინასწარი ვერსიით, ყველაზე მეტ ადგილს რადაში – 132-ს, პოროშენკოს ბლოკი მოიპოვებს, პროპორციული სისტემით პირველ ადგილზე გასული იაცენიუკის პარტია კი – მხოლოდ 82-ს. სულ რადაში 423 დეპუტატი იქნება. მოლაპარაკება კოალიციის შექმნის შესახებ პოროშენკოს ბლოკს, „სახალხო ფრონტსა“ და სამოპომიჩს შორის მიმდინარეობს. (ნიუპოსტი)

*მეცხრე გვერდიდან*

ელიზბარაშვილი და ტარიელ ჭანტურიძე, სხვა არავინ. მაგათ ჯერ მერიაში ჰქონდათ საჩივარი შეტანილი და იქ უარი უთხრეს, მერე პოლიციაში მიჩივლეს და პოლიციამ კანონდარღვევა ვერ აღმოაჩინა. ბოლოს საკრებულოს მიმართეს. საკრებულოში კი პროვოკაცია მომიწყვეს.

**— საკრებულოში ჩხუბი რის გამო ატყდა? თქვენმა შვილმა ტარიელ ჭანტურიძეს რატომ დაარტყა?**

– ვიდრე მე სიტყვით გამოვიდოდი, ვთხოვე ყველას, სიტყვა არ შემაწყვეტინოთ-მეთქი. ორჯერ საკრებულოს წამყვანმა, ქალბატონმა შორენამ შემაწყვეტინა სიტყვა, მერე კი ტარიელ ჭანტურიძემ. ამ ძაღლების მკვლელმა მითხრა, რომ გაგიყვან სასაფლაოზე და შუბლს გაგიხვრეტო. ყველაფერი გააკეთეს, რომ ჩემი სიმართლე, ჩემი არგუმენტები საკრებულოს კომისიის წევრებს, არასამთავრობოებსა და ჟურნალისტებს არ მოესმინათ. მეც გამიჭირდა თავის შეკავება და ჩემმა შვილმაც გაიწია ჭანტურიძეზე, იქვე, ჩემს შვილთან ახლოს იჯდა ჭანტურიძე და...

**— ხათუნა ელიზბარაშვილი თქვენი ნათესავია?**

– კი, ჩემი ნათესავია, ჩემს კომპანიაში მუშაობს დღესაც და არც ვაპირებ მისი სამსახურიდან დათხოვნას. მე ხომ არ დავემსგავსები მაგათ?

**— სანიტარიული და სხვა სახის ნორმები, რაც ასეთი თავშესაფრისთვის კანონით სავალდებულოა, ყველაფერი დაცული გაქვთ?**

– რასაკვირველია, ყველაფერი დაცულია.


თამაზ ელიზბარაშვილი

**„ალია“ თამაზ ელიზბარაშვილთან დაპირისპირებულ მხარეთა ადვოკატს, ნოდარ მჭედლიშვილსაც ესაუბრა:**

**— ბატონო ნოდარ, რა აწუხებთ ხათუნა ელიზბარაშვილს, ტარიელ ჭანტურიძესა და თამაზ ელიზბარაშვილის სხვა მეზობლებს, რის საფუძველზე ითხოვენ ძაღლთა თავშესაფრის გადატანას?**

– ამ ხალხს აწუხებს ხმაური, ძაღლების ყეფა, აუტანელი სუნი. ჩატარდა გაზომვები ლევან სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ, დადგინდა, რომ ხმაური ადამიანის ფსიქიკისთვის ასატან ნორმას, ზოგადად, ხმაურის დაწესებულ ზღვარს აღემატება, განსაკუთრებით ღამე, 23 საათის შემდეგ. 70 დეციბალია დასაშვები ნორმა და ექსპერტიზის დროს 100-მდე ავიდა ეს მაჩვენებელი. გარდა ამისა, ანტისანიტარიაა, ვირთხებია, ასევე, ძაღლები დადიან ამ ქუჩაზე და მეზობლებმა ვერ დაადგინეს, მაწანწალა ძაღლები არიან თუ თავშესაფრიდან უშვებენ მათ. ჩვენ დავაფიქსირეთ, რომ რამდენიმე მოსახლის ღობის ძირში დამარხულია მკვდარი ძაღლები. ეს ძაღლები თუ დაავადებულნი იყვნენ და იმიტომ დაიხოცნენ, ეს დიდი საფრთხეა იქაური მოსახლეობისთვის. საერთოდ, არსებობს საკრებულოს დადგენილება, ძაღლი, თუ ის ავადმყოფობის გამო მოკვდა, სპეციალურ სამარხში უნდა ჩაიმარხოს. გავარკვევთ, მაგრამ ეჭვი გვაქვს, რომ ავადმყოფები იყვნენ და ამის გამო დაიხოცნენ... ერთდროულად, 60-70 ძაღლი რომ ატეხს ყეფას და წკავწკავს, რას იზამს ელიზბარაშვილი, გააჩუმებს ამ ძაღლებს? წარმოიდგინეთ თქვენ, 24 საათი ძაღლები იყეფებიან, ზოგჯერ 200-300 ძაღლი ერთდროულად ყეფს და ამ ხალხსაც აქვს ნერვები, რამდენის მოთმენა შეუძლიათ?

**— თამაზ ელიზბარაშვილი აცხადებს, რომ წლების მანძილზე, ხათუნა ელიზბარაშვილსა და ტარიელ ჭანტურიძეს ფულს უხდიდა ყოველთვიურად და ჩივილი მას შემდეგ შეწყვიტეს, რაც მათ უფრო მეტი თანხა მოსთხოვეს და არ მისცა.**

– ამ ხალხის უფლებები ირღვევა, ეს ფაქტია და ამაში დავრწმუნდი. უხდიდა თუ არა ფულს, მე ეგ არ ვიცი, საბუთი არ მინახავს, მაგრამ ამ განცხადებით თამაზ ელიზბარაშვილი ადასტურებს, რომ კანონს არღვევდა, მეზობლებს აწუხებდა და ამის სანაცვლოდ უხდიდა ფულს. ახლა ერთ რამესაც გეტყვით. სამოქალაქო კოდექსი, „სავალდებულო სამეზობლო თმენის წესებს“ ითვალისწინებს. მეზობელმა კი რაღაც უნდა მოითმინოს მეზობლის გამო, მაგრამ ეს არ უნდა გასცდეს ჩვეულებრივი სამეურნეო საქმიანობის ფარგლებს. ახლა, მეზობელი შეშას რომ ხერხავს ელექტროხერხით, კი, უნდა მოვითმინო, ერთი დღე ხერხოს და მერე ხომ გაჩერდება? ამ შემთხვევაში კი სხვაგვარად გვაქვს საქმე, თამაზ ელიზბარაშვილის საქმიანობა სცილდება ჩვეულებრივ სამეურნეო საქმიანობას, ძაღლთა თავშესაფრის იმ პრობლემებს კი, რაც ჩამოვთვალე და რაც მეზობლებს აწუხებთ, ბოლო არ უჩანს.



**— ახლა რას მოითხოვენ მომჩივანები თამაზ ელიზბარაშვილისგან?**

– კანონით ფულადი კომპენსაციის მოთხოვნის უფლებაც აქვთ, მაგრამ მხოლოდ თავშესაფრის დახურვას ითხოვენ. ამ ხალხს აქვს უფლება, წყნარად, ნორმალურად იცხოვრონ და მეტს არაფერს ითხოვენ.

**— საკრებულომ გადაწყვეტილება ვერ მიიღო. რას აპირებთ, სასამართლოს მიმართავთ?**

– საკრებულო ძალიან უხერხემლოდ მოიქცა და არ ვიცი, საერთოდ შეძლებენ თუ არა გადაწყვეტილების გამოტანას. რას ელოდებიან, რომ ამ ხალხმა დახოცოს ერთმანეთი? გამოვიდნენ და ან ერთ მხარე უთხრან, რომ მტყუანია და ან მეორეს. რა, ძნელია ამის გაკეთება? თუ საკრებულო ამ საკითხს ვერ გადაწყვეტს, ცხადია, მერე სასამართლოს მივმართავთ.

ლევან ჯავახიშვილი
577 51 73 37

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## ლევან ჩაჩუა რაულ უსუპოვის ტანსაცმლის გამოკვლევას ითხოვს



ზურაბ ჟვანიას გარდაცვალების საქმეზე დაკავებული ლევან ჩაჩუა რაულ უსუპოვის ტანსაცმლის გამოკვლევას ითხოვს. აღნიშნული მოთხოვნის საფუძველი უსუპოვის მამის, იაშა უსუპოვის განცხადება გახდა, რომელმაც თქვა, რომ მისი შვილი ჭუჭყიანი ტანსაცმლით ზურაბ ჟვანიასთან არ წავიდოდა, ხოლო გარდაცვალების დროს მას დასვრილი ტანსაცმელი ეცვა.

ჩაჩუას ადვოკატის ამ შუამდგომლობას პროკურორი შეეწინააღმდეგა. ლევან ჩაჩუა, დაახლოებით, 8 თვის წინ დააკავეს. მას სამსახურეობრივ გულგრილობას ედავებიან. პროკურატურის მტკიცებით, ლევან ჩაჩუამ გარდაცვლილთა სხეულებზე არსებული დაზიანებები დასკვნაში სრულად არ ასახა. (ნიუპოსტი)

## ოჯახი დაკარგულ 21 წლის თორნიკე გოგალაძეს ეძებს



გოგალაძე ნატახტარის ლტოლვილთა დასახლებიდან 3 ნოემბერს გავიდა და მას შემდეგ არავის უნახავს. ის ბორჯომში ცხოვრობს და ნატახტარში სტუმრად იმყოფებოდა. ოჯახის წევრების ინფორმაციით, თორნიკეს ეცვა ნაცრისფერი მაისური, ლურჯი ქურთუკი, ლურჯი ჯინსის შარვალი, შავი ფეხსაცმელი წითელი თასმებით.

დაკარგულის ოჯახის წევრები მიმართავენ საზოგადოებას თუ ვინმეს რაიმე სახის ინფორმაცია აქვს, დაკარგული ბიჭის შესახებ დარეკოს ნომერზე 593-74-86-67. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## „არსებობს კიდევ ერთი გაყინული კონფლიქტის მიღების საფრთხე“



აშშ-ის სახელმწიფო მდივნის მოადგილის, ერიკ რუბინის განცხადებით, არსებობს კიდევ ერთი გაყინული კონფლიქტის მიღების საფრთხე.

„პირველ რიგში, ბევრჯერ გვითქვამს, რომ ჩვენ ვაღიარებთ საქართველოს და უკრაინის ტერიტორიულ მთლიანობას. უფრო დიდი ხანია ვამბობთ, ჩვენ არა მარტო ვაღიარებთ საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას, არამედ ვცდილობთ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის, სუვერენიტეტის დარღვევისა და არასასურველი უცხო ქვეყნის ძალების საქართველოს ტერიტორიაზე განთავსების საკითხის მოგვარებას. ეს საერთოა უკრაინისა და საქართველოს შემთხვევაში. საწყენია, თუმცა არის შესაძლებლობა, რომ კიდევ ერთი გაყინული კონფლიქტი მივიღოთ, ჩვენ ყველაფერს ვაკეთებთ, რომ ამის თავიდან აცილება შევძლოთ. ვინაიდან გვაქვს ძალიან მტკივნეული გამოცდილება რეგიონში, მათ შორის საქართველოს შემთხვევაში. გვაქვს გამაფრთხილებელი ნიშნები, არის პოტენციური პარალელები, რომლის თავიდან აცილებასაც ვცდილობთ, რადგან ეს არაა პოზიტიური პარალელები“, – განაცხადა რუბინმა. (ნიუპოსტი)

# 8 მიზეზი, რის გამოც „თავისუფალი საქართველო“ ღარიბაშვილის გადაყენების კამპანიას იწყებს

## რას პასუხობენ პარტიები „თავისუფალ საქართველოს“ ინიციატივაზე?

„თავისუფალმა საქართველომ“ პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის გადადგომის მოთხოვნით კამპანია დაიწყო. პრემიერის გადაყენების საფუძვლად კი შემდეგ მიზეზებს ასახელებენ: 1). პრემიერ-მინისტრი არის მარიონეტი; 2). პრემიერ-მინისტრი არის პოლიტიკურად უმწიფარი; 3). სახელმწიფოებრივი გადაწყვეტილებების მიღება არ ხდება საქართველოს კონსტიტუციის ფარგლებში და გამოსულია კონსტიტუციური სივრციდან; 4). პროკურატურა და პოლიცია გამოიყენება პოლიტიკური დევნის იარაღად; 5). პოლიცია კვლავაც რჩება ერთ დიდ მონსტრად და არ არის მისგან გამოყოფილი უშიშროების სამსახური; 6). კვლავ მიმდინარეობს უკანონო მოსმენები და ხელისუფლება ყველანაირი ხერხებით ცდილობს, შეინარჩუნოს ადამიანებზე ტერორის ეს მექანიზმი; 7). არ მომხდარა წინა ხელისუფლების მიერ პოლიტიკური და ეკონომიკური ტერორის შედეგად, საქართველოს კონსტიტუციის საწინააღმდეგოდ საქართველოს მოქალაქეებზე წართმეული ქონების დაბრუნება, გარდა ერთი შემთხვევისა, როცა ქონება დაუბრუნდა ბატონ ივანიშვილს; 8). ფართოდ არის გავრცელებული და წახალისებული ნათესავებისა და ნათელ-მირონების დანიშვნა (ნეპოტიზმი) საპასუხისმგებლო პოსტებზე.

პარტია, „თავისუფალი საქართველო“, დასახულ ბრძოლაში თანამებრძოლად რამდენიმე მსხვილ პოლიტიკურ ძალას მოიაზრებს: „თავისუფალი დემოკრატები“, „ეროვნული ფორუმი“, „რესპუბლიკელები“ და ყველა პარტია, არასაპარლამენტო ოპოზიციიდან, გარდა „ნაციონალური მოძრაობისა“.

„ალია“ დაინტერესდა, რას ფიქრობენ პარტია „თავისუფალი საქართველოს“ წამოწყებაზე ალექსანდრე შალამბერიძის მიერ დასახელებული პოლიტიკური ძალები?

**„ალიას“ ესაუბრება „თავისუფალი დემოკრატების“ ერთ-ერთი ლიდერი, ვიქტორ დოლიძე:**

– პოლიტიკურ პროცესზეა საუბარი და ჩვენ ასეთი საკითხებისადმი ემოციურად არ ვართ განწყობილები. პოლიტიკურად მივყვებით განვითარებულ მოვლენებს. 2016 წელს არის არჩევნები. „თავისუფალი დემოკრატები“ ხელისუფლებაში მოდიან 2016 წელს და მანამდე თუ რაიმე გაუთვალისწინებელი მოხდა, მანამდეც მოვალთ. არ ვჩქარობთ, ეტაპობრივად მივყვებით პროცესებს.



**— თუ გქონდათ ამ დრომდე რაიმე სახის საუბრები „თავისუფალ საქართველოსთან“ აღნიშნულ საკითხზე?**

– არანაირი საუბარი არ გვაქონია ამ საკითხზე. ალეკო შალამბერიძეს დიდი მადლობას ვუხდი, რაც თქვა ღიად, გვერდზე დაგვიდგა და მხარი დაგვიჭირა, მაგრამ ჩვენ ამ ამბავში არ ჩავერთვებით. დაველოდოთ არჩევნებს, შევხედოთ, როგორ განვითარდება პოლიტიკური პროცესები, 2016-ში ისედაც მოვდივართ ხელისუფლებაში და ყველაფერი გასაგები გახდება თავისთავად.

**იმავე კითხვით „რესპუბლიკელ“ ლევან ბერძენიშვილსაც მივმართეთ:**

– მე მგონია, რაღაცა ეშლებათ მაგათ. კუკავას პარტიის მხარდამჭერი არასდროს ვყოფილვართ, დამავიწყდა სხვათა შორის კუკავა უკვე, კარგი პარლამენტარი რომ იყო, ეს კი მახსოვს, მაგრამ მისი პარტიის მხარდამჭერები არასდროს არ ვყოფილვართ და ამ საქმეშიც არ დავუჭერთ მხარს.

„ეროვნულმა ფორუმმა“ საერთოდ, ძალიან შორს დაიჭირა აღნიშნული ინიციატივისგან თავი:

„ამ საკითხზე საუბარი „ეროვნულ ფორუმში“ არ ყოფილა. „ეროვნული ფორუმი“ კოალიცია „ქართული ოცნების“ წევრია, შესაბამისად, წარმოვადგენთ კოალიციას. რაც შეეხება აღნიშნულ საკითხზე მხარდაჭერას, ეს ცოტა სასაცილოდ მეჩვენება“, – გვითხრა „ეროვნული ფორუმის“ წევრმა შალვა კიკნაველიძემ.

**პარტია „თავისუფალი საქართველოს“ წამოწყება, ასევე, მიუღებელია „ახალი მემარჯვენეებისთვის“:**

**„ალიას“ „ახალი მემარჯვენეების“ გენერალური მდივანი, მამუკა კაციტაძე ესაუბრა:**



– ფაქტია, რომ ამ ხელისუფლების მიმართ ჩვენს პარტიას უარყოფითი დამოკიდებულება აქვს მათი არაპროფესიონალიზმის, საკადრო პოლიტიკის მიმართ, მათი დიდი კითხვისნიშნიანი საგარეო პოლიტიკის მიმართ და ა.შ. თუმცა, ამ ყველაფრის უარყოფითობის მთავარი მწვერვალი, არ გვგონია, რომ ღარიბაშვილია. მართალია, ის ფორმალური პრემიერ-მინისტრია და მისი პასუხისმგებლობა, პლუსები და მინუსები საკმაოდ სერიოზულია, მაგრამ ახლა ღარიბაშვილი გაუშვა და ვიღაც მოიყვანო, შორს ვარ იმ აზრისგან, რომ ეს სიტუაციას გამოასწორებს.

მთავარი პრობლემა არა ღარიბაშვილში, არამედ ივანიშვილშია და ეს გასულ კვირასაც დადასტურდა. თუ რამე არ მოგვწონს ამ ქვეყანაში, ივანიშვილის დამსახურებითაა. ის უნდა დაბრუნდეს ხელისუფლებაში და ქვეყანა ფორმალურად მართოს, ან დისტანცირდეს ხელისუფლებისგან და თავი დაანებოს ქვეყნის მართვაში ხელის ფათურს. მას დაუფასა ხალხმა ის, რაც მან კარგი გააკეთა და ეს მოხდა 2012 წლის 1-ელ ოქტომბერს, მაგრამ მას მერე მან ძალიან ბევრი შეცდომა დაუშვა და ახლა, რასაც ის აკეთებს ყველაზე ცუდს, არის ის, რომ ჩრდილიდან მართავს ქვეყანას. მისი პასუხისმგებლობა არის ნული, ფორმალურობაც – ნული, ხოლო უფლებები – 100%-იანი.

**„ერთიანი დემოკრატიული მოძრაობის“ ერთ-ერთი ლიდერი, გიორგი ახვლედიანი:**



– ეს იდეა, სავარაუდოდ, კახა კუკავას ტვინის ნაყურია. ქვეყანას ბევრად უფრო რთული საკითხები უდგას, დაწყებული ძალიან გათავხედებული „ნაციონალების“ საკითხით, რომელიც ცდილობს მიიმხროს მის მიერ კონტროლირებადი პოლიტიკური პარტიები და ღიად დააფიქსირებინოს მათ „ნაციონალური მოძრაობის“ გვერდში დგომა. დააფიქსიროს, რომ ახლა ის აკეთებს კოალიციას ხელისუფლებისა და „ქართული ოცნების“ დასამხობად. ამ ხელისუფლების რევოლუციური გზით დამხობა ყოვლად მიუღებელია. ამ ხელისუფლებას მათი არაპროფესიონალიზმის გამო ხშირად ვაკრიტიკებთ, მაგრამ ჩვენ ბევრად უფრო დიდი უბედურება მაშინ დაგვემუქრება, თუ „ნაციონალურ მოძრაობას“ ხელისუფლებაში დაბრუნების საშუალებას მივცემთ. ასეთი განცხადებები კი პირდაპირ „ნაციონალურ მოძრაობას“ უხსნის გზას, რომ ხელისუფლებაში დაბრუნდეს და ამ იდეას ამიტომაც გვერდზე კი არ დავუდგებით, შევეწინააღმდეგებით ყველა ფორმით, მათ შორის საპროტესტო აქციებით. „თავისუფალი საქართველოს“ წამოწყება სააკაშვილის განცხადებას მახსენებს, რომელსაც ისე ეჩქარება ხელისუფლებაში დაბრუნება, რომ მზად არის, ეს 2016 წლამდე მოახდინოს ძალადობრივი გზით და აგერ 15 ნოემბერს აპირებს ამის დაწყებას. ამ ორი პოლიტიკური ძალის რიტორიკა იმდენად ჰგავს ერთმანეთს, რომ სხვას ვერაფერს ვფიქრობ. ვგულისხმობ ხელისუფლების დამხობის სურვილს.

**— „თავისუფალი საქართველო“ რომ ყველა პოლიტიკურ ძალასთან დაჯდეს სასაუბროდ ამ თემაზე, დაელაპარაკებით მათ?**

– ერთმნიშვნელოვნად შეიძლება ითქვას, რომ „ნაციონალური მოძრაობის“ გეგმებზე საუბრის სურვილი ჩვენ ნამდვილად არ გვაქვს.

**დიანა ლიპარტელიანი**

571 80 40 80

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## „ავტონომია საქართველოს შემადგენლობაში მიუღებელია“



დე ფაქტო აფხაზეთის ელჩი რუსეთში საქართველოს ხელისუფლების შეთავაზებას აპროტესტებს. იგორ ახბა საქართველოს შემადგენლობაში აფხაზეთის ავტონომიას მიუღებელსა და უპერსპექტივოს უწოდებს.

ახბას თქმით, დოკუმენტი, რომელიც უნდა გაფორმდეს აფხაზეთსა და რუსეთს შორის, არ იქნება მიღებული იმ ფორმით რა ფორმითაც რუსეთმა შესთავაზა აფხაზეთს. ახბა განმარტავს, რომ შექმნილია სამუშაო ჯგუფი, რომელიც თვლის, რომ სახელწოდებაც კი უნდა შეიცვალოს და შეთანხმებას აღარ უნდა ერქვას „მოკავშირეობისა და ინტეგრაციის შესახებ ხელშეკრულება“. დე ფაქტო აფხაზეთის ელჩი აცხადებს, რომ მათი მთავარი მოთხოვნა რუსების მიმართ აფხაზეთისთვის სუვერენიტეტის შენარჩუნებაა და შესაბამისად მათთვის საქართველოს ხელისუფლების შეთავაზება ავტონომიასთან დაკავშირებით საინტერესო აღარ არის.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე ვახტანგ ყოლბაია ახბას პოზიციას უსაფუძვლოს უწოდებს იმ ფონზე, როდესაც აფხაზეთში მზადდება ე.წ. მემორანდუმი რუსეთსა და აფხაზეთს შორის, სადაც საერთოდ არ არის საუბარი დამოუკიდებლობასა და სუვერენიტეტზე.

„ახლა არის 21-ე საუკუნე და აქ საუბარი არ არის იმ ავტონომიაზე, რაც მათ 90-იან წლებში ჰქონდათ. საუბარია თანამედროვე სახელმწიფოში არსებულ შესაძლებლობაზე მისი თვითმყოფადობის განვითარებასა და ევროპისკენ სვლაზე“, – აღნიშნა ყოლბაიამ. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი...

## ვერულაშვილი უმრავლესობაში გადასვლის მიზეზებზე არ საუბრობს



დამოუკიდებელი მაჟორიტარი დეპუტატი მარიკა ვერულაშვილი საპარლამენტო უმრავლესობას შეუერთდა. ის გადაწყვეტილების მიზეზზე არ საუბრობს.

პარლამენტში ახალი ფრაქცია, სახელწოდებით „დამოუკიდებელი მაჟორიტარები – ძლიერი რეგიონებისთვის“ შეიქმნა. ფრაქცია უმრავლესობას შეუერთდა.

აღნიშნული ფრაქცია „ნაციონალური მოძრაობიდან“ გასულმა იმ დეპუტატებმა შექმნეს, რომლებიც ამ დრომდე პარლამენტში დამოუკიდებელი დეპუტატის სტატუსით საქმიანობდნენ. (ნიუპოსტი)



## „ჩვენ არ დავწერთ განცხადებებს, გადაგვაყენონ“

„თავისუფალი დემოკრატები“ აცხადებენ, რომ თავისი ნებით საპარლამენტო თანამდებობებს არ დატოვებენ.

„ეს მოვლენები შეფასებულია ჩვენგან, როგორც პოლიტიკური ნაბიჯი უმრავლესობის მხრიდან, ეს მათი გადაწყვეტილებაა და რეგლამენტი აძლევთ მათ ამის საშუალებას“. – აცხადებს ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე ვიქტორ დოლიძე.

ნინო გოგუაძის განცხადებით, „თავისუფალი დემოკრატები“ თავისი ნებით თანამდებობების დატოვებას არ აპირებენ.

„რადგან ეს არის პოლიტიკური პროცესი, ჩვენ არ დავწერთ განცხადებებს, გადაგვაყენონ, ძალიან მაინტერესებს ის არგუმენტები, რომლითაც გადააყენებენ, ვთქვათ, ვიქტორ დოლიძეს, ევროინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარეობიდან“. – აღნიშნავს გოგუაძე. (ნიუპოსტი)

## ნინი ბადურაშვილი მორიგ ჭორს პასუხობს — „არ ვარ ბერას ნათლია და რა გავაკეთო?...“



დღეს სოციალურ ქსელში გავრცელდა ინფორმაცია, რომ ნინი ბადურაშვილი და თამრიკო ჭოხონელიძე ბერა ივანიშვილის ნათლიები არიან. ეს ამბავი ბევრს გაუკვირდა. აქამდე ცნობილი იყო, რომ ბერას ნათლია ქალბატონი თამრიკო გახლდათ. გავრცელებული ინფორმაცია თავად ნინი ბადურაშვილთან გადავამოწმეთ.

– ბერას ვიცნობ, მაგრამ მისი ნათლია ვერანაირად ვერ ვიქნები, იმიტომ რომ ჩემი ოჯახის ახლობელი არაა. თამრიკოა ჩემი ნათლია. შეიძლება, ვიღაცას რაღაც აერია. არ ვარ ბერას ნათლია და რა გავაკეთო?



შევეცადეთ, გაგვერკვია, საიდან გავრცელდა ეს ინფორმაცია. აღმოჩნდა, რომ ერთ-ერთმა ინტერნეტსაიტმა ტელეკომპანია „ტაბულაში“ სტუმრად მყოფი თამრიკო ჭოხონელიძის ვიდეოდან მოკლე მონაკვეთი გაავრცელა.

ჭოხონელიძე „მძიმე კაცს“ სტუმრობდა და საუბრობდა, რომ მისი ნათლულები არიან მომღერლები ბერა ივანიშვილი, ნინი ბადურაშვილი და დათუნა სირბილაძე და კიდევ ბევრი სხვა, რომლებსაც საზოგადოება ჯერ არ იცნობს, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ მომავალში თავიანთ თავს აუცილებლად წარმოაჩენენო.

ვიდეო ისე იყო მოჭრილი და ვინმეს შეიძლება გაეგო, თითქოს ნინი და თამრიკო იყვნენ ბერას ნათლიები და, შესაბამისად, სათაურიც ასეთი ჰქონდა:

იცოდით, რომ თამრიკო ჭოხონელიძე და ნინი ბადურაშვილი ბერას ნათლიები იყვნენ? – აი, რას ყვება ჭოხონელიძე.

საბოლოოდ ნინი ბადურაშვილი გაოცებული დარჩა, საიდან მოჰქონდათ ჟურნალისტებს ასეთი ჭორები.

*reitingi.ge*

## წონაში კლების მეთოდი თაკო ვადაჭკორიასგან



მომღერალი თაკო ვადაჭკორია ცდილობს, გადალახოს ის წინააღმდეგობები, რაც ჯანსაღად ცხოვრებაში უშლის ხელს.

თუმცა, არის რაღაცები, რასაც ვერ შეცვლის – მისი სამუშაო დღე ღამის 10 საათზე იწყება და საკმაოდ გვიან სრულდება. ამის გამო ძილის რეჟიმი დარღვეული აქვს, მაგრამ დანაკლისის ანაზღაურებას სხვა საშუალებებით ახერხებს.

– ჯანსაღი ცხოვრების წესი სწორ კვებას, გეგმიურ ძილს, სპორტდარბაზებში სიარულს მოიცავს. ჩემი აზრით, სილამაზისა და სასურველ ფორმაში ყოფნისთვის დიეტა საუკეთესო გამოსავალი არ არის. პირადად მე, წონის პრობლემა ორსულობის შემდეგ პერიოდში გამიჩნდა, თუმცა 15 კილო თავისთავად „დავკარგე“, 6 – ჩემი ძალისხმევით, დანარჩენი 4 კილოს დაკლება კი ძალიან გამიჭირდა და დიეტის დაცვა მომიხდა. მალე მივხვდი, რომ თავს ვიტყუებდი. მერე დავრწმუნდი, რომ წონის დაკლებისას ფსიქოლოგიური ფაქტორი ძალიან ბევრს ნიშნავს. გადავწყვიტე, ცომეულის გარდა, არაფერზე მეთქვა უარი და საკუთარი თავიც დავარწმუნე, რომ ამ მეთოდით დავიკლებდი და კარგი შედეგიც მივიღე. სამუშაო რეჟიმიდან გამომდინარე, ჭამა გვიან ღამითაც მიწევს.

*ambebi.ge*

## გოჩა ჭაბუკაიძეს საფრანგეთიდან გამოეხმაურნენ



რამდენიმე წუთის წინ საფრანგეთიდან დარეკა ჩემთვის უცნობმა ადამიანმა, მარტინ გეორქიევმა, გოჩა ჭაბუკაიძის ნამღერი განსაკუთრებით მომხვდა გულზეო, – წერს „ფეისბუკის“ საკუთარ გვერდზე პროექტ „ნიჭიერის“ მედიასთან ურთიერთობის მენეჯერი, სალომე ლილუაშვილი...

სალომე ლილუაშვილი: „რამდენიმე წუთის წინ საფრანგეთიდან დარეკა ჩემთვის უცნობმა ადამიანმა, მარტინ გეორქიევმა. წუხელ „ნიჭიერს“ ვუყურე და გოჩა ჭაბუკაიძის ნამღერი და მისი პირადი ისტორია განსაკუთრებით მომხვდა გულზეო.

საფრანგეთში ვცხოვრობ 15 წელია, აქ ექიმი ვარ და იქნებ გამაგებინოთ, რით შემიძლია დავეხმარო მის შვილს, იქნებ რა სჭირდება, იქნებ საბუთები ან სამსახური არ აქვს, იქნებ-იქნებო... ვინც არ იცით, გეტყვით, რომ ბატონი გოჩას შვილი 9 წელია, საფრანგეთში ცხოვრობს. სწორედ მისთვის იმღერა ბ-ნმა გოჩამ, იქნებ ტელევიზორში მნახოს მონატრებულმა შვილმაო.

ჩვენ ჯერ შვილის რეაქცია არ ვიცით, მაგრამ ფაქტია, რომ ემიგრანტებზე ძალიან ემოციურად იმოქმედა ნანახმა. ჰოდა, ახლა სიამოვნებისგან გაშტერებული ვზივარ. ჰო, ვითომ არაფერი განსაკუთრებული, მაგრამ რა მაგარია, როდესაც სადღაც ვიღაც ქართველი რომელიღაც უცნობ ქართველზე ზრუნვას ცდილობს. ალბათ, იმდენად იშვიათია უანგარო სიკეთე, რომ ძალიან მიჩუყებს გულს!

*newposts.ge*

## თიკო სადუნიშვილი შეყვარებულია? — რას ამბობენ თბილისში ტელეწამყვანის ახალი რომანის შესახებ



ამბობენ, რომ ტელეწამყვანი თიკო სადუნიშვილი შეყვარებულია და მისი რჩეული 28 წლის რატი რატიანია. რატი პროფესიით ინტერიერის დიზაინერია და მას შესაბამის წრეებში კარგად იცნობენ. მაყურებელი კი იცნობს გადაცემიდან „რემონტი“, სადაც ის მოწვეული დიზაინერის პოზიციაზე მუშაობდა.

რატი რატიანი წარსულში იყო დაქორწინებული და ერთი შვილი ჰყავს. როგორც მათთან დაახლოებული ადამიანები ამბობენ, წყვილი საჯარო სივრცეში ერთად გამოჩენას ერიდება და მხოლოდ მეგობრების წრეში არიან ერთად.

ამბები.გე-მ წყვილის ერთობლივი ფოტოებიც მოიპოვა, რომლებიც რატის მეგობრის ქორწილშია გადაღებული, სადაც ისინი ერთად მივიდნენ. ამბები.გე შეეცადა, მოპოვებული ინფორმაცია თიკოსთან გადაემოწმებინა, თუმცა მან ჩვენს სატელეფონო ზარებს არ უპასუხა.

*ambebi.ge*

## პეკინის ქუჩაზე მოკლული ცნობილი ტრანსგენდერი „საბი“ აღმოჩნდა



პეკინის ქუჩაზე მოკლული ახალგაზრდას ვინაობა ცნობილია. ის 25 წლის ბექა ბერიანია, რომელსაც საზოგადოების ნაწილი „საბით“ იცნობს. არსებული ინფორმაციით, ის „ლგბტ“ თემის წარმომადგენელი იყო.

მეზობლების თქმით, მას კარგად არ იცნობენ, რადგან ბერიანი პეკინის 14-ში საცხოვრებლად ცოტა ხნის წინ გადავიდა.

„გოგოსავით გამოიყურებოდა, რამდენიმეჯერ დავინახე. ეზოში გვიან თუ ვხედავდით“, – აცხადებენ გარდაცვლილის მეზობლები.

შეგახსენებთ, შემთხვევა პეკინის ქუჩაზე გუშინ მოხდა. არსებული ინფორმაციით, ახალგაზრდა მამაკაცი მოკლეს, შემდეგ კი, კვალის დაფარვის მიზნით, საცხოვრებელი სახლი დაწვეს.

*newposts.ge*

## მარიკო ებრალიძე ქირურგზე გათხოვდა



მომღერალი მარიკო ებრალიძე პირად ცხოვრებაზე არასდროს საუბრობდა, ერთი უბრალო მიზეზის გამო – ამბობდა, რომ პირად ცხოვრებას პირადი იმიტომ ჰქვია, რომ შენთვის შეინახო და ყველას არ გაუზიარო.

მარიკო ქართველმა მსმენელმა „ვარსკვლავების აკადემიიდან“ გაიცნო. წელს, ჯგუფ „შინთან“ ერთად, „ევროვიზიაზე“ საქართველო ორიგინალური სიმღერით წარადგინა.

დღეს კი ცნობილი ხდება, რომ მარიკო გათხოვდა. ამის შესახებ მისი „ფეისბუკის“ გვერდიდან გახდა ცნობილი. მეგობრები მარიკოს გაბედნიერებას ულოცავენ.

ცნობილია, რომ მისი რჩეული ქირურგი გიორგი დოლიძეა.

*reitingi.ge*

## „ამიერიდან იცოდეთ, ვინ არის დედოფალი“ — ქრისტინე იმედაძის ფოტოები აკვა-პარკიდან



მომღერალი ქრისტინე იმედაძე „ფეისბუკის“ პირად გვერდზე აკვა-პარკში გადაღებულ ფოტოებს აქვეყნებს.



– ამიერიდან იცოდეთ, ვინ არის დედოფალი, – წერს ქრისტინე.

*ambebi.ge*

მიხეილ სახვაძე 599 93-28-03

რეკლამა: ☎ 2-333-170; 577-444-442 reklama@alia.ge









1. ქვეყანა. დედაქალაქია ათენი
2. მსახიობი ... დი კაპრიო
3. მწერალი ასტრიდ ...
4. „ხევისბერი გოჩა“. პერსონაჟი
5. კოშკი ბაბილონში
6. გემით მოგზაურობა
7. მსახიობი ... ჩელენტანო
8. მხ/ფ. „... და მისი ძმები“
9. მწყემსის მოსასხამი
10. აღმოსავლ. სიმებიანი საკრავი
11. გემის მზარეული
12. ნიანგი ჩრდ. ამერიკაში
13. ძაღლის ნაშიერი
14. ამ შენობაში წიგნებია
15. მან აღადგინა ოლიმპიური თამაშები
16. შუადღის პურისჭამა
17. შეძახილი თეატრში
18. რისი დეგუსტატორია სომელიე
19. ვაზის ტოტი ორი მტევნით
20. მხ/ფ. „ანჟელიკა ... მარკიზა“
21. მწერალი ... ტვენი
22. ნოხი
23. ხალხური საკრავი ტიკით
24. ნიავი
25. პრეზიდენტი ნიკოლა ...
26. ნ. დუმბაძე. „მზიანი ...“
27. ლიუკ ბესონის ფილმი
28. გემის ფსკერის კოჭი
29. მსახიობი ... ხვიჩია
30. ბოსტნეული
31. ისლანდიელი მომღერალი
32. ტყის „სანიტარი“ ფრინველი
33. სახელმწ. სამხრ. ამერიკაში
34. ჩუქურთმა
35. ბულგარული არაყი
36. სამკურნალო მცენარე
37. ჩეხური ავტომობილი
38. იესო ქრისტეს სამოსი
39. ხილის გამაგრილებელი წვენი
40. პოეტი ... მირცხულავა
41. ... ხართან რომ დააბა, ან ზნეს იცვლის ან ფერსაო
42. სინი
43. ჩირქის გამომწვევი მიკრობი
44. კუნძულ. სახელმწ. წყნარ ოკეანეში
45. ჯეიმს კამერონის ფილმი
46. მსახიობი ... რობინსი
47. ამ ნივთიერების სუნი დამპალი თაგვის სუნს შეადარეს
48. მხ/ფ. „იმერული ესკიზები“. მათხოვარი
49. იანის საპირისპირო
50. „სწავლის ... მწარე არის“
51. მსახიობი ... დე ფიუნესი
52. ვაჟიშვილი
53. ფრინველი ანტარქტიდაზე
54. შვარცენეგერი: რვინის ...
55. შვლის ნაშიერი
56. მხ/ფ. „ფანტომასი“. ჟან ...
57. ხის გრძელცხვირა თოჯინა
58. მსახიობი რობერტ დე ...
59. მსახიობი ... ბლუმი
60. მსახიობი ... აბაშიძე
61. თვითმფრინავის საჰაერო ვინტი
62. თაღი
63. შილაფლავის სახელებელი
64. ... ერთობაშია
65. გაუშლელი ყვავილი
66. ისტერიული შიში
67. ქვის სახლის მშენებელი
68. „იყო შაშვი ...“
69. ლუდის მასალა
70. სწრაფად გათამაშებ. საჭადრაკო პარტია
71. ყველაზე რბილი მინერალი
72. აღვირის ნაწილი
73. მისი დეგუსტატორია ფუმელიე
74. სხეულის განადგურება დაწვით
75. მევიოლინე ... ისაკაძე
76. ჰავა
77. ბალახის მოსათიბი იარაღი
78. კომპოზიტორი მიქაელ ...
79. მდინარე ქუთაისში
80. მსახიობი მონიკა ...
81. მ. შოლოხოვი. „წყნარი ...“
82. სიმებიანი საესტრადო ინსტრუმ.
83. ლურჯი ნივთიერება თეთრეულისათვის
84. იტალიური ფულის ერთეული
85. თავაშვებული ღრეობა
86. ხის მოჭრილი ტანი
87. მსახიობი ... გოძიაშვილი
88. ტყავის ზოლი ფეხსაცმლის ირგვლივ
89. კვერცხისმდებელი ქათამი
90. შთაგონების ქალღმერთი (ბერძნ.მით.)
91. სულთნის მრჩეველი
92. ნამარხი სპილო
93. მეფის მხლებლები
94. სასულე საკრავი კათოლიკ. ტაძარში
95. ქალაქი შოტლანდიაში
96. სამშობლოს მონატრება
97. ინდური კაბა
98. ფარული დაცინვა
99. მაღალყელიანი ნაქსოვი სამოსი
100. მსახიობი ... ვლადი
101. მსახიობი ... სტრიპი
102. გრძელკისრიანი ცხოველი
103. ცვარი
104. საპორტო ქალაქი საქართვ.
105. უცხოელი დამპყრობელი, ანუ ...
106. ცეცხლის დასანთები წვირი
107. პოეტი ...-ფშაველა
108. ტაილანდური ენა
109. კავშირებითი სიტყვა
110. ფრინველის სამწყვდევი
111. შვედური ანსამბლი
112. მდინარე ციმბირში
113. რძის პროდუქტი
114. მზესუმზირის ტკბილეული
115. მსახიობი მარლონ ...
116. ხის ჯამი
117. ღორის ნაშიერი
118. იაპონური თეატრი
119. ქვეყნის მატიანე
120. ტკბილი ნივთიერება
121. აქლემების მწკრივი უდაბნოში
122. მსახიობი ... გარდნერი
123. აზოტშემცველი სასუქი
124. ზღვაოსანი ფერნანდო ...
125. ოტო ... ბისმარკი
126. რისი დეგუსტატორია ტიტესტერი
127. ფიცარი ფანჯრის ქვეშ
128. მოჭიდავე
129. პალმა. აქვს კაკლები
130. მსუბუქი, ანუ ...
131. ამერიკული სამგზავრო თვითმფრ.
132. სიტყვა. ნიშნავს ცივს
133. შალეულის მავნებელი პეპელა
134. მომღერალი დაიანა ...
135. მყარი ცხიმი
136. „დათა თუთაშხია“. ... სარჩიმელია
137. მხატვარი კამილ ...
138. შინაური ცხოველი
139. გერდას მეგობარი ბიჭუნა (ზღაპრიდან)
140. მსახიობი ... გარსია
141. მსახიობი ... ზელვეგერი
142. ინგლ. ისტორიაში: უინსტონ ...
143. იუპიტერის თანამგზავრი
144. ცეკვა „მულენ რუჟში“
145. ზამბახი
146. მწერალი ... პასტერნაკი
147. ფეხის სახსარი
148. უნგრელი კომპოზიტორი
149. მსახიობი ... რურკი
150. ... შეჯდა მწყერი ხესა
151. ... ურჩევნია მამულსა

პასუხები: 1. საბერძნეთი; 2. ლეონარდო; 3. ლინდგრენი; 4. ონისე; 5. გოდოლი; 6. კრუიზი; 7. ადრიანო; 8. როკო; 9. ნაბადი; 10. თარი; 11. კოკი; 12. ალიგატორი; 13. ლეკვი; 14. ბიბლიოთეკა; 15. კუბერტენი; 16. სადილი; 17. ბის; 18. ღვინო; 19. აკიდო; 20. ანგელოზების; 21. მარკ; 22. ფარდაგი; 23. გუდასტვირი; 24. სიო; 25. სარკოზი; 26. ღამე; 27. „ნიკიტა“; 28. კილი; 29. იპოლიტე; 30. სტაფილო; 31. ბიორკი; 32. კოდალა; 33. ბოლივია; 34. ორნამენტი; 35. რაკია; 36. ასკილი; 37. „ტატრა“; 38. კვართი; 39. სიტრო; 40. ალიო; 41. ხარი; 42. ლანგარი; 43. სტაფილოკოკი; 44. სამოა; 45. „ავატარი“; 46. ტიმ; 47. პირიდინი; 48. ოლია; 49. ინი; 50. ძირი; 51. ლუი; 52. ძე; 53. პინგვინი; 54. არნი; 55. ნუკრი; 56. მარე; 57. პინოქიო; 58. ნირო; 59. ორლანდო; 60. დოდო; 61. პროპელერი; 62. არკა; 63. ძირა; 64. ძალა; 65. კოკორი; 66. პანიკა; 67. კალატოზი; 68. მგალობელი; 69. ალაო; 70. ბლიცი; 71. ტალკი; 72. ლაგამი; 73. სიგარა; 74. კრემაცია; 75. ლიანა; 76. კლიმატი; 77. ცელი; 78. ტარივერდიევი; 79. რიონი; 80. ვიტი; 81. დონი; 82. გიტარა; 83. ლილა; 84. ლირა; 85. ორგია; 86. მორი; 87. ვასო; 88. რანტი; 89. დედალი; 90. მუზა; 91. ვეზირი; 92. მამონტი; 93. ამალა; 94. ორგანი; 95. გლაზგო; 96. ნოსტალგია; 97. სარი; 98. ირონია; 99. სვიტერი; 100. მარინა; 101. მერილ; 102. ჟირაფი; 103. ნამი; 104. ფოთი; 105. ბარბაროსი; 106. ასანთი; 107. ვაჟა; 108. ტაი; 109. რომ; 110. გალია; 111. „აბბა“; 112. ირტიში; 113. არაჟანი; 114. ჰალვა; 115. ბრანდო; 116. გობი; 117. გოჭი; 118. ნო; 119. ისტორია; 120. შაქარი; 121. ქარავანი; 122. ავა; 123. ნიტრატი; 124. მაგელანი; 125. ფონ; 126. ჩაი; 127. რაფა; 128. ფალავანი; 129. ქოქოსი; 130. მჩატე; 131. „ბოინგი“; 132. კრიო; 133. ჩრჩილი; 134. როსი; 135. ქონი; 136. რაჟა; 137. კორო; 138. თხა; 139. კაი; 140. ენდი; 141. რენე; 142. ჩერჩილი; 143. იო; 144. „კანკანი“; 145. ირისი; 146. ბორის; 147. მუხლი; 148. ლისტი; 149. მიკი; 150. არა; 151. ის.

# სკანვორდი

ავტორი თინა ციბაძე 598 44-31-00



1. ძველ რომში: პური და ...
2. ხრიკი რაიმეს მისაღწევად
3. რომის პაპის წითელი სამოსი
4. რუსული ხალხური საკრავი
5. სოფელი დუშეთის რაიონში
6. შარლ პეროს ზღაპარი
7. ... მტრობას დაუნგრევია, სიყვარულს უშენებია
8. ველური ვაზი
9. ჟურნალისტი დავით ...
10. უნივერსიტეტი ...-მატერი
11. სოფელი დუშეთის რაიონში
12. ქართ. ხალხური ზღაპარი
13. კაციჭამია
14. ჰოლანდიის საფეხბ. კლუბი
15. რეჟისორი ... ალენი
16. ... და პეტროვი
17. ნარდის სათამაშო კუბები
18. ... ფიროსმანაშვილი
19. კუბური ცეკვა
20. ორსახა ღმერთი
21. ასახდელზე-დიანი ავტომობილი
22. რბილი სასის გაგრძელება
23. აბატი პრევო. „... ლესკო“
24. პატარა მდინარე
25. აცტეკების დედაქალაქი
26. ტროას ქურუმი
27. მსახიობი ... მუტი
28. საეკლესიო კრება
29. მსახიობი ... რივზი
30. თოფის ხის დეტალი
31. მსახიობი სტივ ...
32. წყალსაცავი აზერბაიჯანში
33. მსახიობი სოფი ...
34. მდინარე გერმანიაში
35. ომში: ... და ნაღარა
36. მსახიობი ... ბანდერასი
37. მხატვარი ... ჯაფარიძე
38. კურორტი სოჭთან
39. ... ჭრის და ... კერავს
40. მსახიობი ... პაპანოვი
41. მდინარე ციმბირში
42. მსახ. ბენისიო ... ტორო
43. სოფი ლორენის ფილმში
44. ქალაქი ესპანეთში
45. მეორე საუზმე ინგლისში
46. მისი დედაქალაქია რომი
47. მდინარე კახეთში
48. ჩანთოსანი დათვი
49. მსახიობი ... ოლივიე
50. მსახიობი ... პაჩინო
51. მთავარი ღმერთი ოლიმპოზე
52. მსახიობი ჟან ...
53. წყლის ძუძუმწოვარი
54. დაბა-დების მოწმობა
55. ... ფონ ბისმარკი
56. კუბის დედაქალაქი
57. უნგრელი კომპოზიტორი
58. ჩილეში: ... კორვალანი
59. პირის გასაპარსი დანა
60. დეკლამაციური ხასიათის მელოდია ოპერაში
61. იტალიური ფულის ერთეული
62. სასწავლო დაწესებულება
63. ჯამის ფორმის სასმისი
64. გედის ყელის ბუმბული
65. პოეტი დავით ...
66. დაბა ოზურგეთ. რაიონში
67. წყლის საღებავი
68. ქალაქი ინდოეთში
69. ამ ენაზე მეტყველებდა ქრისტე
70. რეჟისორი ჟერარ ...
71. მახრჩობელა გველი ამაზონში
72. მილოშ ფორმანის ფილმი მოცარტზე
73. სპორტის სახეობა
74. გვარის უფროსი აღმ. ქვეყნებში
75. მსახიობი ანდრეი ...
76. მიმართვა ფრანგთა მეფისადმი
77. წყალწაღებული ... ეჭიდება ბოდაო
78. ზღვა იტალიასთან
79. მსახ. ... ბერიკაშვილი
80. ბაზრის ფასები
81. კონტინენტი
82. ნიშნავს ცივს
83. კვამლიანი ნისლი
84. ... ცოცხი კარგად გვის
85. ... კურდღლის მადევარი
86. ... გავეყარე და ვუის შევეყარე
87. ფოლგა
88. სასეირნო გემი
89. ინგლისელი პოლიტიკური მოღვაწე მე-17 საუკუნეში
90. მსახიობი მარინა ...
91. ... ვირიც ვიყიდე, ყველა ყროყინა გამომადგაო
92. ... შეედავე, გამოსძმე შეერჩებაო
93. ამომავალი მზის ქვეყანა
94. გივი ბერიკაშვილი ფილმში
95. ვიოლინოების იტალიელი ოსტატი
96. მსახიობი ... ბიტი
97. მხ/ფ „ანდრომედას ...“
98. სახალხო მგოსანი მომღერალი
99. ხელის საგრილებელი
100. ფიზიკოსი ისააკ ...
101. სვირინგი
102. სახის ნაწილი
103. რუს მეფეთა
104. მხატვარი ანრი ...
105. სამშენებლო მასალა
106. საესტრადო ინსტრუმენტი
107. მუსიკალური ინტერვალი
108. სირაქლემას სახეობა
109. ქალის სასიმღერო ხმა
110. მსახიობი ... როტი
111. ბრემ სტოკერის ნაწარმოები
112. მსახიობი ვინ ...
113. შესაწირავი საქონელი
114. ავადმყოფობის ნიშნები
115. რეჟისორი ანჟეი ...
116. ქალაქი ფლორიდის შტატში
117. წლოვანება
118. მსახიობი ... როკი
119. მომღერალი ... ჯოხაძე
120. ქალის პირბადე
121. ნოდარ დუმბაძის ნაწარმოები
122. ჭავჭავაძე. „... ადამიანი?!“
123. 90 გრადუსიანი კუთხე
124. სწრაფი კვების ქსელი აშშ-ში
125. „რა? ...? როდის?“
126. მხატვარი რაფაელ ...
127. რუსული ესტრადის მომღერალი
128. ძვ. თბილისური მიმართვა
129. სამხედრო მოსამსახურის აღკაზმულობა
130. მსახიობი ... ბერნარი
131. ყაიმი
132. აზერბაიჯანის დედაქალაქი
133. მწვანე მინერალი
134. მოზაიკის კერამიკის ნატეხი
135. ტყის სული წვეტიანი ყურებით
136. სოფელი გორის რაიონში
137. ქიმიური ელემენტი
138. ნაგებობა მდინა-რეზე
139. მსახიობი ვივიენ ...
140. ხელოვნური ენა

პასუხები: 1. სანახაობა; 2. მაქინაცია; 3. კამაურო; 4. ბალალაიკა; 5. ბულაჩაური; 6. „კონკია“; 7. რაც; 8. უსურვაზი; 9. აქუბარდია; 10. ალმა; 11. ილტოზა; 12. „ნაცარქექია“; 13. კანიბალი; 14. „აიაქსი“; 15. ვუდი; 16. ილფი; 17. კამათელი; 18. ნიკო; 19. ჰაბანერა; 20. იანუსი; 21. კაბრიოლეტი; 22. ნაქი; 23. მანონ; 24. ნაკადული; 25. ტენოჩტიტლანი; 26. ლაოკოონი; 27. ორნელა; 28. სინოდი; 29. კიანუ; 30. კონდახი; 31. მარტინი; 32. მინგეჩაური; 33. მარსო; 34. რაინი; 35. ბუკი; 36. ანტონიო; 37. უჩა; 38. ადლერი; 39. თან; 40. ანატოლი; 41. ამური; 42. დელ; 43. „ჩოჩარა“; 44. ალიკანტე; 45. ლანჩი; 46. იტალია; 47. ალაზანი; 48. კოალა; 49. ლოურენს; 50. ალ; 51. ზევსი; 52. მარე; 53. დიუგონი; 54. მეტრიკა; 55. ოტო; 56. ჰავანა; 57. ლისტი; 58. ლუის; 59. სამართებელი; 60. რეჩიტატივი; 61. ლირა; 62. სკოლა; 63. ფიალა; 64. გერმა; 65. გურამიშვილი; 66. ლაითური; 67. გუაში; 68. კალკუტა; 69. არამეული; 70. ური; 71. ანაკონდა; 72. „ამადეუსი“; 73. კრივი; 74. შეიხი; 75. მირონოვი; 76. სირ; 77. ხავსს; 78. ადრიატიკა; 79. გივი; 80. მაზანდა; 81. ამერიკა; 82. კრიო; 83. სმოგი; 84. ახალი; 85. ორი; 86. ვაის; 87. კილიტა; 88. იახტა; 89. კრომველი; 90. ვლადი; 91. რამდენი; 92. გალმა; 93. იაპონია; 94. „ლონდრე“; 95. ატამი; 96. უორენ; 97. ნისლეული; 98. აშუღი; 99. მარაო; 100. ნიუტონი; 101. ტატუ; 102. ნიკაპი; 103. რიურიკი; 104. მატისი; 105. კირი; 106. გიტარა; 107. კვარტა; 108. ემუ; 109. ალტი; 110. ტიმ; 111. „დრაკულა“; 112. დიზელი; 113. ზვარაკი; 114. სინდრომი; 115. ვაიდა; 116. მაიამი; 117. ასაკი; 118. მარიკა; 119. ანრი; 120. მანდილი; 121. „კუკარაჩა“; 122. კაცია; 123. მართი; 124. „მაკდონალდსი“; 125. სად; 126. სანტი; 127. ალსუ; 128. ტო; 129. ამუნიცია; 130. სარა; 131. ფრე; 132. ბაქო; 133. მალაქიტი; 134. სმალტა; 135. ელფი; 136. იკორთა; 137. იოდი; 138. ხიდი; 139. ლი; 140. იდო. იკითხება: ხვლიკი.

## მომხიბვლელ ფოტომოდელს ლუდის დალევის გამო... გაროზგავენ



ეს საკმაოდ უჩვეულო შემთხვევა მალაიზიაში დაფიქსირდა და აი, როგორ მოხდა ყველაფერი:

მომხიბვლელი ფოტომოდელი კარტიკა სარი დევი შუკარნო ქვეყნის ერთ-ერთ პროვინციას სტუმრობდა და იმისთვის, რომ დრო მოეკლა, ადგილობრივ ბარში შევიდა და ერთი კათხა ლუდიც „მისცა".

გადარეულან თურმე მამაკაცები, როგორ გაბედა და ქალმა ლუდი როგორ დალიაო და ადგილზე მაშინვე სამართალდამცველები გამოუძახიათ, რომლებსაც ახალგაზრდა ფოტომოდელი განყოფილებაში გადაუყვანიათ.

ბევრი რომ აღარ გავაგრძელოთ, სულ ცოტა ხანში გაიმართა სასამართლო პროცესი და მოსამართლემ დაკავებულს გაროზგვა მიუსაჯა – ფოტომოდელს პალმის ხისგან დამზადებული როზგებით ექვს დარტყმას მიაყენებენ.

– ვფიქრობ, განაჩენი სავსებით სამართლიანია, თუმცა შეიძლებოდა, კიდევ უფრო მკაცრიც ყოფილიყო. იმედი მაქვს, მომხდარი სხვა მუსლიმანებისთვის სამაგალითო იქნება, – ამბობს მოსამართლე აბდულ რაჰმან იუნასი.

გარდა იმისა, რომ ახალგაზრდა მალაიზიელი მოდელი უნდა გაიროზგოს, ერთი კათხა ლუდის დალევის გამო ჯარიმის სახით მან 5 ათასი რინგიტიც (დაახლოებით 1000 ევრო) უნდა გადაიხადოს.

*gazeta.ua*

## გერმანელ მხატვარს ბერლინში ძაღლების... ბორდელის გახსნა უნდოდა



კარლ-ფრიდრიხ ლენცს ექიმებმა რომ შეხედონ, თავიდან იფიქრებენ, სრულიად ჯანმრთელია და არაფერი უნდა აწუხებდესო, მაგრამ როცა მისი წვეტიანი აზრების შესახებ მოგიყვებით, ვეჭვობთ, ასეთივე დასკვნა თქვენც გამოიტანოთ.

თურმე, საკმაოდ ხანგრძლივი დებატების შემდეგ ბერლინის ქალაქის საბჭომ ლენცს სასტიკი უარი განუცხადა დედაქალაქის ცენტრში, ან თუნდაც, გარეუბანში, ბორდელის გახსნაზე, რომელიც სპეციალურად ძაღლებისთვის იქნებოდა განკუთვნილი.

ძალიან ნაწყენი დარჩენილა ჩინოვნიკების ასეთი გადაწყვეტილების გამო ლენცი, რომელიც განმარტავდა, რომ თანამედროვე ცხოვრების რიტმი ძაღლებს სრულფასოვანი სექსით დაკავების საშუალებას უკლავს, არადა ხორციელი ტკბობის უფლება, ადამიანების მსგავსად, მათაც ხომ აქვთო.



– როცა ძაღლებს სექსი არ აქვთ, ძალიან ნერვიულები ხდებიან, რაც მათ ფსიქიკაზე ნეგატიურად მოქმედებს. ჩვენ უნდა ვიზრუნოთ მათზე, – ასეთი სიტყვებით ცდილობდა ის ჩინოვნიკების დარწმუნებას, თუმცა როგორც უკვე გითხარით, მისი წინადადება არ დაკმაყოფილდა.

სხვათა შორის, ძალიან საინტერესოა, ჩინოვნიკების განმარტება, რატომ თქვეს უარი ლენცის წინადადებაზე:

– არ არსებობს არც ერთი დასკვნა, რომელშიც ნათქვამი იქნებოდა, რომ ბერლინში მობინადრე ძაღლები სექსის უქონლობის გამო ნერვიულობენ და დეპრესიაში ვარდებიან...

სექსი კი არა, ზოგიერთ ქვეყანაში ხალხს საჭმელი ენატრება და ესენი კიდევ ძაღლების ლიბიდოზე ზრუნავენ!..

*etotupo.ru*

## სულელი ქურდის ციხეში გაშვებაზე მოსამართლემ სასტიკი უარი განაცხადა



მდგომარეობიდან გამოსულა და სულ ცოფები უყრია ინგლისელ მოსამართლეს, როცა ვერაფრით გააგებინა 22 წლის მუჰამედ ზამანს – წადი, შვილო, სახლში გიშვებო.

საქმე ისაა, რომ ბრიტანეთის ახალგაზრდა მოქალაქემ ავტომობილი გაიტაცა, თუმცა ცოტა ხნის სეირნობის შემდეგ სინდისმა შეაწუხა და პოლიციაში საკუთარი ფეხით მივიდა.

– თქვენ ჩაიდინეთ საქციელი, რომელიც მართლაც საოცარია, თუმცა ვიღებ პასუხისმგებლობას და გათავისუფლებთ, – ასეთი ყოფილა მოსამართლე პოლ ჯონსონის განაჩენი, რაც დამნაშავეს ვერ გაუგია და უკითხავს:

– მე ხომ დანაშაული ჩავიდინე, რადგან მიშვებთ, ესე იგი, უდანაშაულო ვარ?

მოსამართლეს საკუთარი პოზიცია რამდენჯერმე აუხსნია და ბოლოს მწყობრიდან გამოსულს დაუყვირია:

– იდიოტი ხარ, მეტი რაღა გითხრა, წაეთრიე სახლში...

*etotupo.ru*

## ძალიან ღარიბმა ამერიკელმა ლატარიაში 39 მილიონი დოლარი მოიგო




რამდენიმე თვეა, რაც კალიფორნიის მკვიდრი, 39 წლის კლაიდ პერსლი უმუშევრად დარჩა და 7-სულიანი ოჯახის რჩენას, ფაქტობრივად, ვეღარაფრით ახერხებდა. მისი ერთადერთი იმედი ლატარიაში სოლიდური თანხის მოგება იყო, რადგან სამსახურის შოვნაზე უკვე აღარც კი ოცნებობდა.

ჰოდა, დაახლოებით 7-თვიანი მცდელობის შემდეგ, კალიფორნიელს უსაზღვროდ გაუმართლა და გათამაშებაში, სახელწოდებით „სუპერლოტო პლუს" 39 მილიონი აშშ დოლარი მოიგო.

ლატარიის ორგანიზატორების ინფორმაციით, გამარჯვებული კუთვნილი თანხიდან პირველ ქვითარს 16 მილიონ დოლარზე მაქსიმუმ მომდევნო ერთ თვეში მიიღებს. რაც შეეხება თავად იღბლიანს, ის ამბობს, რომ პირველ რიგში მეუღლეს ჰავაის კუნძულებზე წაიყვანს დასასვენებლად, შემდეგ კი ფინანსურ საკითხებში კომპეტენტურ მრჩეველს დაიქირავებს და რაც ყველაზე მთავარია – გაჭირვებულებსაც დაეხმარება.

რამდენად შეასრულებს კლაიდ პერსლი ამ ბოლო პირობას, უცნობია, თუმცა ფაქტი ერთია – მას ძალიან, ძალიან, ძალიან გაუმართლა!!!

*lenta.ru*

## მეზობლების დაბეზღებისთვის, ინგლისში პრემიებს ოფიციალურად გასცემენ



ეს გოგია კენკიშვილმა არ დაანება თავი კაცობას და ბოზობა არ დაიწყო, თორემ ახლა უკვე მსურველი იმდენია, რიგში დგანან, ოღონდ ვინმე დააბეზღონ „იქ, სადაც ჯერ არს" და ამით ხელიც მოითბონ.

თურმე, ლონდონის ჩრდილოეთით ერთ-ერთი მუნიციპალური დაწესებულება ადამიანებს, რომლებსაც მეზობლების „ჩაშვების" სურვილი გაუჩნდებათ, საკმაოდ სოლიდურ ანაზღაურებას სთავაზობს. კერძოდ, თანხის მოცულობა ინფორმაციის ხარისხის მიხედვით დაიანგარიშება და მინიმალური 50-დან მაქსიმალურ 500 ფუნტ სტერლინგამდე მერყეობს.

მაგალითად, შეიძლება მეზობლის იმის გამო დაბეზღება, რომ მისი ძაღლი ქალაქის ქუჩებში ისაქმებს, ან ვინმე მუსიკის ხმამაღალი მოსმენის მოყვარულია და ასე შემდეგ.

გარდა ამისა, მუნიციპალიტეტში განსაკუთრებით დიდი ოდენობით პრემიას აძლევენ ბავშვებს, რომლებიც, ფაქტობრივად, უკვე ნადირობენ, ოღონდ ნებისმიერი მეზობელი რაიმე ელემენტარულ დარღვევაზე გამოიჭირონ.

იმედია, ასეთი რამ ჩვენთანაც არ მოხდება, თუმცა რა ვიცით, იქნებ, უარესებიც მოხდეს... ჯერ სად ხართ?!.

*drunov.ru*

## უჩვეულო მარათონი საწოლზე...



აქამდე გვეგონა, რომ საწოლზე წოლით მხოლოდ ძილი და კიდევ სხვა რამე-რუმეები შეიძლებოდა, მაგრამ თქვენ წარმოიდგინეთ, ამ გზით შესანიშნავი ავტომობილის მოგებაც კი ყოფილა შესაძლებელი.

როგორც ირკვევა, სულ ცოტა ხნის წინ ნიკარაგუას ავეჯის ერთ-ერთ მაღაზიაში კლიენტების მისაზიდად საკმაოდ უჩვეულო მარათონი ჩატარდა, რომლის არსიც შემდეგში მდგომარეობდა:

საწოლში ჩაწოლილ წყვილს რაც შეიძლება დიდხანს უნდა დაეყოთ ისე, რომ არც ერთმანეთს შეხებოდნენ და რაც მთავარია – თვალი არ მოეხუჭათ.

მარათონში 100-ზე მეტმა წყვილმა მიიღო მონაწილეობა, რადგან მთავარი პრიზი მართლაც ძალიან მიმზიდველი იყო – ახალთახალი „მერსედეს-ბენც ემ ელი".

შეჯიბრის გამარჯვებულები ცოლ-ქმარი სილვიო როსტრანი და ჯენეტ მარგარიტა სირატო გახდნენ, რომლებმაც ძილის გარეშე 51 საათზე მეტხანს გაძლეს და ყველაზე წარმატებულ მოწინაალმდეგეებს მთელი 3 საათით აჯობეს.

როგორც მარათონის იდეის ავტორები ამტკიცებენ, მათმა სარეკლამო კამპანიამ მართლაც სასურველი შედეგი გამოიღო, რადგან მარათონის მსვლელობისას მაღაზიაში უამრავი სეირის მაყურებელი შედიოდა, რომლებიც თან სოლიდურ შენაძენსაც აკეთებდნენ.

*rokf.ru*

მიხეილ სახვაძე 599 93-28-03



ფილოსოფიის ლექტორი ლექციაზე:

– არც ერთ მეცნიერებას არ შეუძლია, ადამიანი ბედნიერი გახადოს!..

ჩახლეჩილი ხმა აუდიტორიიდან:

– ქიმიის გარდა, პატივცემულო...

*****

– გაზეთში განცხადების გამოქვეყნებას რაიმე შედეგი მოაქვს?

– რა თქმა უნდა?! ორშაბათს განცხადება გამოვაქვეყნეთ დარაჯის მიღების თაობაზე, სამშაბათს კი გაგვქურდეს.

*****

მამაკაცს ტელეფონმა დაურეკა. უპასუხა:

– ჰო, საყვარელო... გასაგებია... ყოჩაღ, გილოცავ!.. – გათიშა ტელეფონი, მიაგდო აპარატი კუთხეში და სასოწარკვეთილმა ჩაილაპარაკა:

– მორჩა, დამერხა... მართვის მოწმობა აიღო...

*****

– ალო, ტელევიზიაა?

– დიახ.

– გადაცემა „ტრა...ით სოფლისკენაა"?

– არა, ჩემო ბატონო, თქვენ რეკავთ გადაცემაში „სახით ქალაქისკენ"!

– ჰოდა, სოფლისკენ რა რჩება?

*****

ქმარი სახლში დაბრუნდა და ცოლს უთხრა, რომ ვახშმად ძმაკაცი დაპატიჟა. ცოლი ეგრევე გადაირია:

– რატომ?! გააფრინე?! სახლი არეულია! ჯერ მაღაზიაში არ ჩავსულვარ! ჭურჭელი ბინძურია! თმებიც დასავარცხნი მაქვს! და საერთოდ არ მაქვს სტუმრების განწყობა!

– ვიცი, ვიცი.

– აბა, რატომღა დაპატიჟე?!

– იმიტომ, რომ ის იდიოტი ცოლის შერთვაზე ფიქრობს!

*****



სოფლის მჭედელი შეგირდს ასწავლის:

– ახლა ცეცხლიდან ნალს გამოვიღებ. როგორც კი თავს გავიქნევ, ეგრევე ჩაქუჩი გლიჯე!..

აი, ასე გახდა შეგირდი სოფლის ახალი მჭედელი...

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ, დავით ახობაძის ნახატები*

**ნეკროლოგები, განცხადებები, მილოცვები**

მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა 12:00-დან 18:00-მდე

ტელ.: 577 99-99-96 (032) 2-333-170; 2-21-21-80 (101);


გაზეთები „ალია“ და „კვირის ქრონიკა“ იზიარებენ თქვენს მწუხარებას

„მაგთიკომის“ თანამშრომლები ღრმა მწუხარებას გამოხატავენ

**ნანა ზარდიაშვილის**

გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობენ მის ოჯახს.

სტომატოლოგიური კლინიკა და სასწავლო-კვლევითი ცენტრი „უნიდენტი“ დიდ მწუხარებას გამოთქვამს კლინიკის მთავარი ინჟინრის

**დიმიტრი კუჭავას**

გარდაცვალების გამო და უსამძიმრებს მის ოჯახს.

მარინა მამალაძე და ზურაბ ვადაჭკორია უდიდეს მწუხარებას გამოთქვამენ სტომატოლოგიის კლინიკა და სასწავლო-კვლევითი ცენტრის „უნიდენტის“ მთავარი ინჟინრის

**დიმიტრი კუჭავას**

გარდაცვალების გამო და უსამძიმრებენ მის ოჯახს.

გაზეთები „ალია“ და „კვირის ქრონიკა“ იზიარებენ თქვენს მწუხარებას

## კატების სამოთხე იაპონურ ტასიროს კუნძულზე



მსოფლიოში ახალი რელიგიური მიმდინარეობა რომ ჩამოყალიბდეს, ვთქვათ, კატიზმის ან კატების მოწმეთა სახელწოდებით, სექტის წევრებს საკუთარი მექა, რომლის მოლოცვაც ყველასთვის სავალდებულო იქნებოდა, უკვე გამზადებული დახვდებოდათ.

ამ ადგილს ტასიროს კუნძული ეწოდება, რომელიც ასევე ცნობილია, როგორც „კატების კუნძული“.

იქაური მედიის ინფორმაციით, კუნძულის ფართობი 12,5 კვადრატული კილომეტრია. მთელ ტერიტორიაზე ათასობით კრუტუნა ფისო და მხოლოდ 100-მდე ადამიანი ცხოვრობს. ცნობილია ისიც, რომ კუნძულის ორფეხა მოსახლეთა უმეტეს ნაწილს უკვე 60-წლიან ზღურბლზე აქვს გადაბიჯებული, ყველაზე ახალგაზრდა კი 37 წლისაა.



წარსულში კუნძულის მკვიდრები ბამბის ჭიების მოვლაზე იყვნენ ორიენტირებულები, კატებს კი იმისთვის ამრავლებდნენ, რომ თაგვებთან – სასარგებლო მწერების მტრებთან გამკლავება მოხერხებინათ. შემდეგ ფუმფულა ცხოველებს მეთევზეები აპურებდნენ და იმის გამო, რომ კუნძულზე ძაღლების მოვლის უფლება საუკუნეებია, აკრძალულია, კატების გამრავლება სულ უფრო სწრაფი ტემპებით მიმდინარეობდა.

ამ მართლაც უჩვეულო კუნძულის მოსახლეები იმედოვნებენ, რომ კატების დახმარებით ტურისტების მიზიდვას და იმას შეძლებენ, რომ ტასირო არ გაუკაცრიელდეს. მეტიც, მიიჩნევა, რომ კატებს ბედნიერების მოტანაც შეუძლიათ, რადგან 2011 წელს იაპონიაში მომხდარ დამანგრეველ ცუნამის პროცენტულად ყველაზე მეტი ადამიანი სწორედ ტასიროს კუნძულზე გადაურჩა.

***top.rbc.ru***

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ*

## ჰოროსკოპი

**ვერძი 21.03-21.04**

**12 ნოემბერი:** შეეცადეთ, დღეს ყველა საქმე მოამთავროთ, რაც ბოლო ხანს დაგიგროვდათ. დღეს ამის გაკეთება უფრო მარტივი იქნება, ვიდრე სხვა დროს.

**კურო 22.04-21.05**

**12 ნოემბერი:** რასაც პრობლემად ჩათვლით, სულაც არ იქნება პრობლემა. ეს დროებითი სიძნელეები იქნება, რომელთა დაძლევაც არ გაგიჭირდებათ.

**ტყუპები 22.05-21.06**

**12 ნოემბერი:** დღეს ნაკლები ყურადღება მიაქციეთ იმას, რას ლაპარაკობენ გარშემომყოფნი და მეტი იმას – რას აკეთებენ. შეიძლება შეცდომაში შეგიყვანონ.

**კირჩხიბი 22.06-22.07**

**12 ნოემბერი:** როგორც ჩანს, დღეს ორ, ერთმანეთის მსგავს რაღაცას შორის არჩევანის გაკეთება მოგიწევთ. ნაჩქარევი გადაწყვეტილება არ მიიღოთ, რადგან შინაარსით ერთმანეთისგან ძალიან განსხვავდებიან.

**ლომი 23.07-22.08**

**12 ნოემბერი:** დღეს არ ღირს გასართობ დაწესებულებაში სტუმრობა. ვერანაირ სიამოვნებას ვერ მიიღებთ. უმჯობესია, მსგავსი დროსტარება სამომავლოდ გადადოთ.

**ქალწული 23.08-22.09**

**12 ნოემბერი:** დიდი ალბათობით, ნაცნობებს სრულიად მოულოდნელ ადგილებში შეხვდებით. ამას შეიძლება სხვადასხვაგვარი, მათ შორის, უსიამოვნო შედეგებიც მოჰყვეს.

**სასწორი 23.09-22.10**

**12 ნოემბერი:** შესაძლოა, თქვენთვის ძვირფასი ადამიანისთვის იმის ახსნა მოგიწიოთ, რომ ძალიან ცდება. უსიამოვნო პროცესია, მაგრამ შეეცადეთ, სიმშვიდე შეინარჩუნოთ.

**მორიელი 23.10-21.11**

**12 ნოემბერი:** შეეცადეთ, დღეს იმ საქმეების კეთებით შემოიფარგლოთ, რომლებიც კარგად გამოგდით. საეჭვოა, რამე ახლის გამოგონებამ სიამოვნება მოგანიჭოთ.

**მშვილდოსანი 22.11-21.12**

**12 ნოემბერი:** სავარაუდოდ, დღეს რაიმე საქმის გაკეთება ძალიან გაგიძნელდებათ. რაც არ უნდა იყოს, ამის გაკეთება მაინც მოგიწევთ, ამიტომ საქმეს შეუდექით.

**თხის რქა 22.12-19.01**

**12 ნოემბერი:** მოუსვენარი და აქტიური იქნებით. შეიძლება ვიღაცას დაუდევრობის გამო უსაყვედუროთ კიდეც, მაგრამ მთლიანობაში, თქვენმა განწყობამ უარყოფითი ემოციები არ უნდა გამოიწვიოს.

**მერწყული 20.01-18.02**

**12 ნოემბერი:** ყალბმა მოქმედებებმა შესაძლოა, ურთიერთობებს წერტილი დაუსვას, სწორმა – კიდევ უფრო განამტკიცოს. მთავარია, ახლობელ ადამიანს ენდო.

**თევზები 19.02-20.03**

**12 ნოემბერი:** სხვადასხვა სახის ცვლილებებისთვის კარგი დღეა. განსაკუთრებული ყურადღება საყიდლებს მიაქციეთ. გაუაზრებლად ფული არაფერში დახარჯოთ.

## ბრიტანელმა მოზარდმა სასამართლოს მადლობა გადაუხადა და... თვითმკვლელობა გადაიფიქრა



საკმაოდ დიდი ხანი იბრძოდა თურმე, 14 წლის ბრიტანელი ჰანა ჯონსი, რომ სასამართლოსგან თვითმკვლელობის უფლება მიეღო და სასურველ შედეგს მიაღწია კიდეც, თუმცა ბოლო მომენტში გადაიფიქრა და მომაკვდინებელ სენთან ბრძოლა გადაწყვიტა.

როგორც ირკვევა, ბრიტანელ მოზარდს გულის გადანერგვის ოპერაცია ესაჭიროებოდა, მაგრამ ექიმები ამბობდნენ, რომ იმ შემთხვევაშიც კი, თუკი ქირურგიული ჩარევა შედეგს გამოიღებდა და მისი გადარჩენა მოხერხდებოდა, ანალოგიური ოპერაციის ჩატარება მინიმუმ 10 წელში კვლავ გახდებოდა საჭირო.

სწორედ ამიტომ ჰანა ჯონსმა ბედთან შეგუება გადაწყვიტა და ევთანაზიის უფლების მოსაპოვებლად სასამართლოში სარჩელი შეიტანა.

14 წლის ბრიტანელის მშობლები ბედნიერები არიან იმით, რომ, როგორც იქნა, მათ ოპერაციაზე შვილის დათანხმება შეძლეს – ჰანა ჯონსს ახლა მხოლოდ დონორის გამოჩენაღა დარჩა და მისი სიცოცხლის გახანგრძლივება მინიმუმ 10 წელი მოხერხდება.

***medkarta.com***

## 76 წლის იტალიელმა მეათე უმაღლესის დიპლომი აიღო



თქვენს ყურადღებას ქალაქ ტროას მკვიდრის ლეონარდო ალტობელის უჩვეულო გატაცებაზე შევაჩერებთ, რომელსაც პირობითად ასე ჰქვია: სწავლა, სწავლა, სწავლა, სწავლა და კიდევ ერთხელ – სწავლა.

როგორც ირკვევა, ლეონარდო ბაბუას ბოლო განათლება ბიოტექნოლოგიური კუთხით მიუღია და უმაღლესი სასწავლებელიც წარმატებით დაუსრულებია.

– საკმაოდ დიდ დროს ვუთმობ სახელმძღვანელოებთან ჯდომას, განსაკუთრებით კი მაშინ, როცა გამოცდების დრო ახლოვდება, თუმცა თავისუფალ დროს სულ სხვა საქმიანობით ვარ დაკავებული, – ამბობს ლეონარდო ალტობელი.

მაინც რა საქმიანობითაა დაკავებული იტალიელი, რთული სათქმელია, თუმცა შეგვიძლია გითხრათ, რომ მან პირველი განათლება სამედიცინო სფეროში მიიღო, შემდეგ დაამთავრა იურისპრუდენციის, პოლიტიკური მეცნიერების, ლიტერატურის, ფილოსოფიის, საგანმანათლებლო მეცნიერების, სოფლის მეურნეობის, ტურიზმისა და ისტორიის ფაკულტეტები.

– მე ჯერ კიდევ ბევრი მაქვს სასწავლი, – ამბობს ლეონდარდო ბაბუა და უკვე მეთერთმეტე დიპლომის ასაღებად მორიგ ფაკულტეტზე ჩაბარებას აპირებს.

***lenta.ru***

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ*



ცოლი ქმარს აღვიძებს:

– კოტე, გაიღვიძე, კოტე! გამოფხიზლდი!.. აი, ასე, ყოჩაღ!.. იცი, საწოლში მოისაქმე...

– ?!

– ალბათ, რაიმე საშინელება თუ გესიზმრა.

– ჰო, საშინელება მესიზმრა – ვითომ გიგანტური ზვიგენი მიპირებდა შეჭმას...

– ღმერთო, მე მაშინვე მოვკვდებოდი!

– ჰო, მაგრამ მე ხომ კაცი ვარ!..

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ, დავით ახობაძის ნახატი*


**შ.პ.ს. „გაზეთები „ალია“ და „კვირის ქრონიკა“**

ალია »211359457 ქრონიკა

დამფუძნებელი **გიორგი ბრეგვაძე**

რედაქტორი: თამაზ ბესტავაშვილი (577-74 99 89) 2212180 პირადი (112)

ოფისმენეჯერი – ტატა ბრეგვაძე (032) 2-333-170; 2-21-21-80 (101); 577 99-99-96

გაზეთის დისტრიბუციის მენეჯერი **ილია ჭაძვაძე** (599 55-45-22)

კომპიუტერული ცენტრის დირექტორი **ლევან ბანეთიშვილი**



**გაზეთ „ალიაში“** გამოქვეყნებულ სტატიებზე **საავტორო ქონებრივი უფლების მფლობელია გაზეთის რედაქცია.** მესამე პირების მიერ მისი გამოყენება აკრძალულია და, შესაბამისად, მისი გამოყენების/გავრცელების შემთხვევაში ამოქმედდება კანონმდებლობით გათვალისწინებული საჯარიმო სანქციები, **„საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის 59-ე მუხლი.**

**სარეკლამო სამსახური**
☎ 2-333-170
577-444-442
მიხეილ სახვაძე
221 21 80
(შიდა ნომერი 108)
E-mail: reklama@alia.ge
®-ით, ან ⬭-ით გასული მასალები დაფინანსებულია შემკვეთის მიერ და სარგებლობს რეკლამის უფლებით. სარეკლამო მასალებში მოყვანილ ფაქტებზე რედაქცია პასუხს არ აგებს.



ISSN 2298-0008

UDC (UAK) 070.4 (479.22) ა-49

რედაქციის მისამართი: აკადემქალაქი, I კვარტალი მე-4 კორპ. I სართული (ალექსიძის ქუჩა)

☎ 2333-170; Fax: 2330-500, E-mail: alia@alia.ge

გაზეთი დასაბეჭდად ხელმოწერილია 02.58